

619  
1972



**ԷՅՄԵՆ**  
№ 2 ԹԵՅՅՈՂԱՅԻՆ 1972



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ქართული

№ 2 (423) თებერვალი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

უკველთვიური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალური  
სამხატვრო ჟურნალი

1922 წლის 30 დეკემბერს, მოსკოვში. საბჭოების სრულიად საკავშირო პირველმა ყრილობამ გამოაცხადა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. „ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალ-ეკონომიური შედეგებით უდიდესი ადგილი უჭირავს“, — აღნიშნავდა ამხანაგი დ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე.

ხოლო საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმზე ამხანაგი ბრეჟნევი ამბობდა: „...პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ შეაჯავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები, გადააქცია მათი მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ენერგიისა და შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ“.

ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკა — მთელი ჩვენი ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის საფუძველთა საფუძველია. ამიტომაც არის, რომ მთელი ჩვენი ხალხი უღრმესი გატაცებით ემზადება ისტორიული თარიღის — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენი ცხოვრების ყოველ უბანზე, ჩვენი მიწა-წყლის ყოველ მტკაველზე, ყოველ სასახელო საქმეს ამ დიდი გრძობის — ხალხთა ურთიერთსიყვარულის უუჩი აქვს მოფენილი, მისი მადლით არის შემოსილი, მისი სიკეთე ამშვენებს და მაცოცხლებელ სულს უღვამს.



ასე იყო ომში, ასეა მშვიდობის დროს. მეგობრობის წმინდა გრძობით არის გამსჭვალული ჩვენი უზარმაზარ სამშობლოში მოხუციც და ახალგაზრდაც, ქალიც და კაცაც, დიდიც და პატარაც. ხალხთა მეგობრობის ერთ ასეთ ამღვლებელ ეპიზოდს ის სენიებს ქვემოთ დაბეჭდილი ნარკვევიც.

# „ყველაფერი, რასაც სამშობლო ჰქვია“...

აღბოში, რომელზედაც უნდა მოგიხროთ, ჩვეულებრივი საოჯახო სურათების ან სამახსოვრო ლექსების აღბოში როდია. იგი არც გარეგნული სილამაზით, არც გაფორმებით გამოირჩევა. შიგ ფაქიზად, გამჭვირვალე ქალღვებდაფარებული ბარათები აწყვიტა, — გაყვითლებული და გაცრეცილი ბარათები, ეტყობათ ბევრჯერ გაუშლიათ, ბევრჯერ წაუკითხავთ... თითოეული ამ ბარათის მიღმა ადამიანის სუნთქვა გესმის, ადამიანისა, რომელიც შრომობს, იბრძვის და სამშობლოს სიყვარულით იწვის.

თითქმის ოცდაათი წლისაა ეს ბარათები. დროთა ვითარებაში ფერი დაუკარგავთ, მაგრამ მისი პატრონისათვის ის ისევე ძვირფასი და საყვარელია, როგორც მაშინ, როცა ფოსტალიონს თითქმის ყოველდღე მოჰქონდა ეს ბარათები.

„საქართველო. ქ. გორი, მე-3 საშუალო სკოლა. ლილა კიკნაძეს“ — ეწერა უოველ ბარათს; ქვემოთ კი სხვადასხვა იყო გამომგზავნილის მისამართი: სველე ფოსტა, ურალი, მოსკოვი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი...

ვინ არის ლილა კიკნაძე? რატომ მისდიოდა მას ეს ბარათები? ვინ იყვნენ მათი ავტორები? რით დაიმსახურა მან ასეთი უურადლება და პატივისცემა?

ამ კითხვებზე ყველაზე უკეთ თვითონ აღბოში გვიპასუხებს.

გადავშალოთ იგი.

აღბოშის ერთ ფურცელზე წითელყელსახვევიანი გოგონას ფოტო მოჩანს. ეს თვითონ ლილა კიკნაძეა, გორის მე-3 საშუალო სკოლის მე-6 კლასის წარჩინებული მოსწავლე.

მომდევნო ფურცელზე კი მოთავსებულია ამონაკერი 1943 წლის 2 იანვრის გაზეთ „პირველიდან“. გაზეთის ამ ნომერში დაბეჭდილი იყო ლილას წერილი, გაგზავნილი უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინსადმი.

იგი წერდა, რომ სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებ ფონდში 1.200 მანეთი შეიტანა, რომელსაც ომის დაწყების პირველი დღიდან აგროვებდა. „დაე, ნორჩი პიონერთა შეგროვილი თანხით აგებული საბრძოლო მანქანა დაეხმაროს ჩვენს მებრძოლებს კაცობრიობის საზიზღარი მტრის ჩქა-

რა განადგურებაში“, — ასე თავდებოდა ლილას წერილი.

შემდეგ გვირდზე მოთავსებულ გაზეთის ამონაკერში ი. ბ. სტალინის პასუხის ვკითხულობთ, რომელიც ლილასთან ერთად სამ მოსწავლეს გაუგზავნა:

„...გმადლობთ, ნორჩო ამხანაგებო, წითელარმიანზე თქვენი ზრუნვისათვის. გოსურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში“.

აი რით გაიცნო მთელმა ჩვენმა ქვეყანამ პიონერი ლილა კიკნაძე, რატომ უგზავნიდნენ ბარათებს საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, მოსწავლეები და მასწავლებლები... ყველა წერდა ერთი საერთო აზრი აგრეთაინებდა — ისინი დიდ მადლობას უხდიდნენ მოსწავლე გოგონას საბჭოთა არმიანზე ზრუნვისათვის.

ბევრი წერილია. მას წერდნენ ქართველები და რუსები, უკრაინელები. და სომხები, ებრაელები და უზბეკები... ყველას წაკითხვა ძალზე ძნელია, ზოგი გაურკვეველი ხელით არის დაწერილი, ნაჩქარევად. ვინ იცის სანგარში იწერებოდა იგი, ზოგი ქაღალდის ნაგლეჯზეა დაწერილი ფანქრით, ავტორს ქაღალდიც არ მოეტებნებოდა, მაგრამ არ შეეტყო არც გასაუბრებოდა პატრიოტ გოგონას. ზოგ წერილს დროთა ვითარებაში ფერი დაუკარგავს და ასოები კარგად აღარ მოჩანს, მაგრამ ვუილი არ ითმენს, რომ ყველა არ წაიკითხო. კითხულობ და გრძნობ იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის მატისცემას, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა გულის ძვირას, სამშობლოსადმი მათ უსასწვრო სიყვარულს, გამარჯვების დიდ რწმენას. ვინ იცის ამ წერილების ზოგი ავტორი დღეს ცოცხალი აღარ არის, თავი დადო სამშობლოს, ხალხის ბედნიერებისათვის, ზოგი კი აღბათ, ჩვენი ქვეყნის მშენებლობის ისევე წინა ხაზზეა.

აი სტრიქონები ამ წერილებიდან:

„შენი 1.200 მანეთი მტრის გულში მოხვედრილი ტყვეია“.

„თქვენ წარმატებები და წითელი არმიისადმი დახმარება აღგვაფრთხილებს და ახალი უმბრობისაკენ მოგვიწოდებს“.



ლილა კიკნაძე, 1943 წ.

„ვამაუობთ, რომ პიონერები და მოსწავლეები ჩვენზე ფიქრობთ“.

„ჩვენც შევგროვებთ ფული სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებად. დაე, ჩვენი ფულით აგებულმა ტანკებმა დააჩქარონ ფაშიზმზე გამარჯვება“, — წერს პიონერი ვალია გრაჩოვა სტალინგრადის ოლქიდან.

„გამარჯობა ლილა, წერილს გწერს მიზა ნიკიტინი ომსკის ოლქის სოფელ ნოვო-არზანგელსკიდან. მე-7 კლასში ვარ. კარგად ვსწავლობ. მამარეში ფრონტზეა, დედაჩემი კოლმეტურნობაში მუშაობს. დასვენების დღეებში მტე ვებმარები კოლმეტურნობას. ამას წინათ კვიცი ავიყვანე გამოსაზრდილად.“

კლასში 27 მოსწავლე ვართ. ჩვენც შევგროვებთ ფული სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებად. თითოეულმა ას-ასი მანეთი დავცდით“.

მე მინდა ფრონტიდან გამოგზავნილი სამი წერილი მთლიანად მოგიტანო. მათი ავტორები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან. ეს წერილები კომენტარს არ საჭიროებენ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ზიადიოთეკა

...მეტი, მიზნის მიხედვით...  
...სადაც უნდა იქნება...  
...დასრულებული...

...დასრულებული...  
...სადაც უნდა იქნება...  
...დასრულებული...

...დასრულებული...  
...სადაც უნდა იქნება...  
...დასრულებული...

▲ ფრაგმენტი მიჩა გელოვანის წერილიდან.

„გამარჯობა ძვირფასო ნორჩო მეგობარო ლეილა!

გწერს უცნობი ძია, გვარდ... პოლიტიკური ბარნელოცი. დღეს მებრძოლებს ვუამბე ჩვენი ჭარბების ბრწყინვალე წარმატებებზე, რომლებმაც 2 თვის მანძილზე მტრის 102 დივიზია განადგურეს და ჩვენი წმინდათაწმიდა მიწიდან ერთგვიან დამპყრობლებს. მთელი საბჭოთა ხალხი გავრცელებული ენერჯით შრომობს და ეხმარება ფრონტს, რომ ჩქარა დადგეს გამარჯვების ნანატრი დღე.

ძვირფასო გოგონა, მთელი შენი მოგროვილი თანხა უსოყმანოდ შეიტანეს წითელი არმიის შეიარაღების გაძლიერებისათვის. ამის შესახებ მე და ჩემმა მებრძოლებმა გაზეთში წავიკითხეთ. დიდი მადლობელი ვართ წითელ არმიას და მებრძოლებისათვის. ვამაყობთ საბჭოთა ბავშვებით, რომელთა ბედნიერებისათვის ვიბრძვით.

გადეცი საღამო მშობლებს, რომლებმაც ასეთი შესანიშნავი და პატრიოტი გოგონა აღზარდეს.

გადეცი საღამო თქვენი სკოლის მოსწავლეებს. მოდი ერთმანეთს შევჯერდეთ: თქვენ წარჩინებით ისწავლეთ, ჩვენ, გვარდიელები კი მაგრად დავატყუებთ მტრს, რომ მალე დადგეს გამარჯვების დღე“.

\*\*\*

აღზომში, როგორც აღვნიშნე, ბევრი ქართველი მებრძოლის წერილია. ერთი მათგანის ავტორია პოეტი მიჩა გელოვანი.

აი ისიც:  
„ამხანაგო ლეილა!

ამ წერილს ფრონტიდან გწერთ. მე წავიკითხე თქვენი წერილი გაზეთში და ისე გამეხარდა, ისეთი სითბო ვიგრძენი... მანდ, საქართველოში ფიქრობენ ჩვენზე — მებრძოლებზე და გვებზარბიან... და აი, ქალაქ გორში არის პიონერი ლეილა კიკნაძე, ჩემთვის უცნობი გოგონა, ასე უყვარს სამშობლო, ასე ზრუნავს ჩვენთვის — მებრძოლებისათვის!

მე დიდი ხანია წამოსული ვარ საქართველოდან და არ უყვილა არც ერთი დღე, მასზე არ მეფიქროს. მე მიყვარს მისი მადლიანი ქედები გასამწერებლად გაკიდული ხალისებურ ახოებით, მინდვრები — საგულე დასირბულნი... ჩემი იორი და თქვენი ღიახვი, მტკვარი და არაგვი, პაღლო და ხაზაღეთი.

და ეს მიწაც მიყვარს, სადაც იღვრება სისხლი თავისუფლებისათვის და მე თავისუფლება მიყვარს უპირველეს ყოვლისა, ამ თავისუფლებისათვის ვიბრძვით...

მე ვნახე დანგრეული ქალაქები, გადამწვარი სოფლები, თქვენებელა გოგონები უბინოდ, უპატრონოდ დარჩენილნი, თოვლით გაყინული ბავშვები... თქვენ არასოდეს არ იხილავთ ამ საშინელებას. ტანკი, რომელსაც თქვენი მონაგარი ააშენებს,

მტყციე ხელში იქნება და სიკვდილს. მოუტანს მტრს სიკვდილისათვის, რომელიც მან დათესა ჩვენს საბჭოთა მიწაზე!

ნაწილში, სადაც მე ვარ, არც ერთი ქართველი არ არის. ეს განსაკუთრებით არ იგრძნობა ჩემთვის, რადგან ჩემ რუს ამხანაგებს ისეთივე იდეა და რწმენა აქვთ, როგორც მე. მათ ჩემებურად უყვართ საბჭოთა სამშობლო და მეც ვუყვარვარ მათ. მეც მიყვარს ისინი.

მაგრამ ხანდახან მომენატრება ქართული სიტყვა, ქართულის ელერა — ფანდურის ხმასავით ტბილი და ღიახვივით მოხუტებულ და იცით კიდევ რა? როცა ავიღებ გაზეთს, მინდა ყოველ ნომერში ეწეროს საქართველოს შესახებ. მინდა ციფრებში, პროცენტებში ყოველთვის წინ იდგეს საბჭოთა საქართველო.

მე ერთი მეგობარი მყავს საქართველოში, თინა ჰქვია მას. ვიღებ მის წერილებს და ხარბად ვსუნთქავ საქართველოს მიწის სურნელებს მის ადერსიან სიტყვებში.



მბ. გელოვიანი

▲ მიჩა გელოვანი, 1943 წ.

არ არის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე შეგრძნება იმისა, რომ იბრძვი სამშობლოსათვის და შეგნება, რომ სამშობლოში ახსოვხარ, ზრუნავენ შენზე.

მე ბედნიერი ვარ ჩემო უცნობო. პატარა მეგობა-

რო, რადგანაც თქვენი ბედნიერებისათვის ვიბრძვი აქ, რუსეთის ცივ ვედებში.

მშვიდობით, ჩემი და ჩემი ამხანაგების საღამო გადაეცი თქვენ სკოლის პიონერებს.

საღამოთ ლეიტენანტი მიჩა გელოვანი. 1943 წლის 24 თებერვალი.

\*\*\*

„ძვირფასო საყვარელო დაიკო! როცა შენი დაწერილი სტრიქონები წავიკითხე „პრაგმაში“, სიხარულის ცრემლები გადმომცვივდა. ეს იყო ჩემი შენდამი ღრმა პატივისცემისა და აღტაცების ცრემლები.

ჩვენში ფრონტი და ზურგი რომ ერთიანი და მონოლითურია, ამაში ყოველთვის ღრმად ვიყავი დარწმუნებული. ასეთი შესანიშნავი თანამებრძობით კი, როგორც შენა ხარ, ვფიცავ ვავიმარჯვებთ.

მე უკვე ერთ წელზე მეტია ფრონტზე ვიმყოფები. ოცი წლისა ვარ. შენსავით მეც პიონერი ვიყავი, ახლა კი კომკავშირელი ვარ, ოცეულს ვმეთაურობ.

მოვა, ლეილა, დრო, შენც გახდები ჩემი ხნის და მაშინ გაიგებ, რა ძლიერად და მზურვალედ ძვერს ამ წლებში გულია რა ძლიერი და დაუოკებელი გრძნობა ვიპყრობს, როცა შენს შესანიშნავ და დიდებულ სამშობლოზე ფიქრობ!

როცა ზარბაზნები დადუმდებიან, როცა აღარ იქნება ტყვის ზღუენი და ნაღებების აფეთქება, ამ გაზრდასუღ დღეებზე თქვენ წიგნებში წავიკითხავთ, ანდა ვეტრანები მოვითხოვბენ. თქვენ შეცვლით უფროს მეგობრებს — კომკავშირელებს, კომუნისტებს და ბევრს შეიძლება გული სტიკოდეს იმის გამო, რომ მოსწილობა ვერ მიიღო თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დიდ ბრძოლაში, რადგან პატარები იყვნენ. უფროსი ამხანაგები დავამშვიდებთ მათ და ვეტყვიან იმ მგზნებარე ნორჩებს, რომ ჩვენ ყველა, დიდებუც და პატარებიც, ქალებიც და მოხუცებიც ვიბრძობთ. ყველა თავისებურად, ვისაც როგორ შეეძლო, რომ დაგვეცვა ჩვენი თავისუფლება და ბედნიერება, ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, ჩვენი კულტურა და მეცნიერება — ყველაფერი, რასაც ერთი სიტყვა — სამშობლო ჰქვია. ვეტყვიან, რომ თავისთი ახალგაზრდული ენერჯია და ცოდნა ახლა მათ კომუნისმის მშენებლობას მოახმარონ.

ჩვენ დავაწესებთ გამარჯვების დღესასწაულს, ო, ის იქნება დიდებული დღესასწაული და იმ დღეს ზეავღმარათვე კიქებს და ვადღერგებლბთ გმირებს, სამშობლოსათვის დაფერფლილ გმირებს, გამარჯვებით დაბრუნებულ გმირებს...

ლეილა, ეს სასუჯვარი დღე ახლოვდება... ივანე პოკოვი. 1948 წლის 4 იანვარი“.

\*\*\*

ჩვენ არ ვიცით მოესწრო თუ არა ივანე პოკოვი, ამ შესანიშნავი სტრიქონების ავტორი გამარჯვების დღეს, მაგრამ ერთი კი არის — ახლა მისი ოცნება და ჩვენ მუდამ დიდი სიყვარულით ვიკონებთ გმირებს, რომლებიც დაიცნენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის; ჩვენ ვადღერგებლბთ შენ დაბრუნებულ გმირებს, რომლებიც კვლავ მწყობრში დგანან და კომუნისმის მშენებლობის წინა ხაზზე არიან.

\*\*\*

თვითონ ლეილა კიკნაძემ ცხოვრების შესანიშნავი გზა განვლო, ამჟამად იგი ისევ გორში ცხოვრობს, უმადლესი განათლების მიღების შემდეგ კომკავშირულ სამუშაოზე იყო. ახლა კი პარტიულ სამუშაოზეა.

იმ პატარა აღზომს, გარდასულ დღეთა იმ პატარა ძეგლს, თავისი ბავშვობის ერთ შესანიშნავ ფურცელს იგი სათუთად ინახავს და თვალისჩინივით უფრთხილდება.

პანო ცარცვაძე



# ი მ ე ლ ე

თენდებოდა. ტყეში მოზუზუნე ცოვი ქარი თეთრ ნაბადწამოსხმულ არყის ხის ტოტებიდან თოვლის გუნდებს ხვეტდა, პაერში ანიავებდა და სამარხილე გზით მიშვალ მუომრებს, ფარაჭებში რომ ჩახუდუნულიყვნენ, სახეში აყრიდა. რაზმს წინ ახალგაზრდა ლეიტენანტი მიუძღოდა, მალიმალ უკან რომ იხედებოდა და ჭარისკაცებს აფრთხილებდა, ყოჩაღად მომყევით. ბიჭებო, არავინ ჩამორჩესო.

თუმცა კანტიკუნტად, მაგრამ გაუთავებელი გრუზუნებდნენ ქვეშევნები. რიდიოთა და დეკვებოთ მიშვალნი ჭარისკაცები ყურებდაცქვეტოლი შიახი-ჭებდნენ, თან ისე იხრებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს პაერში მქროლავ კურავებს თვალს აყოლებდნენო.

როცა სადღაც შორს აფეთქების ზმა გაისმოდა, ისინი თავისუფლად ამოისუნთქავდნენ ხოლმე, მაგრამ უშვალ ისევ იძებოდნენ, რადგან საარტილერიო დუელი არ ცხრებოდა.

სულ ბოლოს ტანდაბალი ჭარისკაცი მიახიჭებდა, თავი ფარაჯის აწეულ საყულოში ჩაერგო. ერთმანეთში გადახლართული საველე ჩანთა, აირწინალი და კარახინი ზურგზე მოეგდო. მოშვებული ქაშის ბაფთა გვერდზე ადგა, ტყავის ქარქაშში გარკობილი ხისტი ფეხებში ჩასთრევდა. მოტეხილი ფრთხივით ჩამოცვენილ ხელებს ოდნავ ანძრევდა. მწკრივის ოცობადე ნაბიჯით რომ ჩამორჩებოდა, სირბილზე გადადიოდა და ამხანაგებს ძლივს ეწეოდა.

— ემ, ფეხები დამაწყდა, ნეტა შეგვეცენა მაინც! — ლეიტენანტის გასაგონად ჩაილაპარაკა რომელიღაც ჭარისკაცმა.

— ცოტა კიდევ გაიჭირვებ, ამხანაგებო, ყოველი წუთი ძვირფასია! — უკან მიუხედვად, ხმაშაღლა თქვა ლეიტენანტმა, გულში კი გაოფიქრა, მართლაც ურიგო არ იქნებოდა პატარა შესვენება, მუხლი ალარც მე მომდევს, მაგრამ, რა ვქნა, ვერ დავაგვიანებთო.

შტაბში ხომ გარკვევით უთხრეს, იარეთ შეუსვენებელიც და უთენია მიდით მიორს პეტროვის ბატალიონში. ორი დღეა მტერი ფრონტის ამ უბანზე გააფრთხილ შეტევებს აწარმოებს, ქვეგანაყოფებმა დიდი დანაკლისი განიცადეს და შევსება ესაჭიროებათო.

ტანდაბალმა ჭარისკაცმა ნაბიჯს უკლო, ძირს დახრილი თავი უცებ მოსწყდა, ნიკაპით მკერდს დაეხიანა და შეჩერდა. თითქოს კისერზეც თვალები მქონდა გამოსხმული, ლეიტენანტმა მშინვე შენიშნა ეს და დაიძახა:

— მორჩილად, ნაბიჯით იარ!  
 ჭარისკაცი უძრავად იდგა, დადუმებული და თავჩაქინდარული. ლეიტენანტმა ათეულის მეთაურს უხრძანა — მორჩილად მხიბდე, ზეზე-ულა ხომ არ ჩაეძინაო. ათმეთაურმა ჭარისკაცს მხარში ხელი სტაცა და შეანჯღრია:

— რა დავემართა, რა ყურებჩამოყრილი დგახარ?  
 — არაფერი, არაფერი.. — მიუგო გუნდულად მორჩილადემ, თან თითქოს მოძალეხული ძილად მგუგერიება სწადიყო, თავი შეანჯღრია და გზა განაგრძო.  
 — კდექ! — შესძახა ათეულის მეთაურმა.  
 ჭარისკაცი შეტერდა.  
 — ცხვირი მოგვინია, ხელი მოისვი!  
 მორჩილად იმ ახალგაღვიძებულ ბავშვივით შესცქეროდა სერჟანტს, შემზარავი სიზმარი რომ ნახა, და ჭერ კიდევ ვერ გარკვეულა, ლეიძავს თუ ისევ სიზმარშია.

მჭკრეომა ხელდაბნელები გაიძრო, ჭარისკაცს ჩაფხუტი და ხაშხის მუწარადი მოხდა, ცხვირი და ლოყები თოვლით დაუწილა. მერე კი, თითქოს უნდა გამოაფხიზლოსო, სველი ხელები თვალბეჭვც მოუსხვა და უხრძანა:

— სირბილით!  
 — გმადლობ, ამხანაგო მეთაურო! — წაილაპარაკა მორჩილადემ, კიდევ უფრო წაიხარა და, რაკილა ხისტი ფეხებში ედებოდა, კოჭლობით რაზმს წამოიქცა.

„საწყალი ბიჭი, წესრიგის მოყვარული და გამგონე, მაგრამ რა გამოვიდა, ჩვილი ბავშვივით სუსტი და დონდლოა. ნეტავი ასეთი იყო, თუ მძიმე ჭარისკაცულმა ცხოვრებამ დაასუსტა, დააბრეივა?!“ — ფიქრობდა ათმეთაური.

მან ორი კვირით ადრე იხილა საწუთრო. დაბადებივც სუსტი იყო. ერთი ცი-და, კიამოვარდნილი.

უდღეური ბიჭი ნაბოლარა წიწილასავით წიოდა. ვინ იცის, იქნებ იმას სწუხდა, ვისთვის რა დამიშვებია, ასეთი სუსტი, უსუსური რად დავიბადეო. ორი კვირისა რომ შეიქნა, ლურჯი თვალები უფრო ფართოდ გაახილა და უაზროდ სადღაც შორეთში დაიწყო მწერა. დედის ძუძუსაც უფრო მოწადინებით დაეწავა, ტირილსაც უკლო.

რაკი ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდათ, ბიჭს სახელად იმედა შეარქვეს. ეს არის ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში, მოხუცებულობაში მარჩენალი, დამტოვრებული, დამსუღრავიო.

იმედა პატარაობითვე არ იყო გარეგნობით ღამაში. წოპიანი თავი ვიწრო მხრებში ჩავარდნოდა, მკერდი ამოწეკოდა, ფეხები ბევრად გრძელი მქონდა ტანზე. თუმცა წყნარი, ლურჯი თვალები, კაცში სიბრალულს რომ იწვევდა, და დახუჭუბული გრუზა თმა, საამო შეხედულებას აძლევდა.

მშობლებს იქნებ დიდი ცეცხლიც უტრიალებდათ გულში, მაგრამ ერთხელაც არ დასცდნიათ, ბავშვი სუსტი, ან უღამაზოაო. როგორც ყველა მშობელს, იმათაც თავიანთი პირმშო ყველაზე ღამაზად მიაჩნდათ.

იმედა ისეთი ნაწი იყო, საბანი რომ გადახლოდა, ან ოდნავ ქარს დაეკრა, ცივდებოდა, სიცხეს აძლევდა.

მამა გაუთავებელიც ექიმებთან და წამლებზე დარბოდა, დედა ბავშვს დამეებს თეთრად უთენებდა.

ცოლ-ქმარისათვის იმედას წვალბის მეტი არაფერი მოუტანია, მაგრამ თავს უბედნიერეს ადამიანებად თვლიდნენ, ღმერთს მადლობას სწირავდნენ, შვილი რომ გვაღირსო.

იმედას ჭერ ხეობიანად ფეხიც არ აეღა, რომ მამა გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და ორ-სამ დღეში სალ-სალამათი კაცი გათავდა.

დედამ ქმრის ცხედართან დაიფიცა, კაცის სახეს აღარ ვიხილავ, მთელ ჩემს სიცოცხლეს შვილს შევადევ, იმის გარდა ქვეყანაზე სხვა არავინ მეყვარებაო.

მართლაც დედა შვილზე იყო გადაჰყვადარი. ჩიტის რძე რომ მოედლომა, იქნებ იმასაც გაუჩრენდა. ეფერებოდა, ეალერსებოდა, რაც არ უნდა წაეხდინა. არ უწყურებოდა, სულ იმას ეუბნებოდა, შენი ჰირიმი, დედისურთა ბიჭო, ისე გაგზრდი, ცოვ ნიავს არ მოგაკარებ, უმამობას არ გაგარძნობინებო.

ემ, უმამობას ვინ ჩივის, იმედა დედასაც ორ-სამ დღეში ერთხელ ხედავდა. რაკილა ქალს გადაეწყვიტა შვილისათვის არაფერი მოეკლო, დღეში ორ ცვლას მუშაობდა. დედა დილით უთენია ქარხანაში რომ მიდიოდა, ბიჭს ტბილად ეძინა, გვიან, ღამე კი სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, ბავშვი უკვე შუა ძილში იყო.

იმედას დედის სიახლოვე ენატრებოდა. კვირა დღეს გვერდიდან არ სცილდებოდა. ერთთავად ხელი იმის კაბის კალთაზე ეყიდა და, სადღაც არ უნდა წასულიყო, უკან მისდევდა.

გაიბრინა წლებმა. იმედა სკოლაში მიხარეს. პირველკლასელებს დედებაც შებყვენენ საკლასო ოთახში. მასწავლებელმა ბავშვებს მერსზე ადგილები რომ მიუჩინა, მშობლებს გარეთ გასვლა სთხოვა.

იმედა კარისაკენ მიშვალ დედას გამოუდევნა და კაბის კალთაზე ჩამოეკოწინა, ნუ მიღიხარ, შენც აქ დარჩიო.

მასწავლებელი ბავშვს ეფერებოდა, ნუ გეშინია, ამას იქით მცე მცე დედა ვიქნებიო. დედა კი ამხედებდა, დერეფანში ვიდეგები, შვილო, გაკეთილდების დამთავრებამდე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

უდღეოდ დარჩენილ იმედას თვალზე ცრემლი მოერია, დაღონდა, ერთთავად კარისაკენ იხედებოდა, თითქოს იმის გაგება ეწადა, დედა მართლა დერეფანში ელოდებოდა თუ არა.

იმედა სწავლაში მოიკოჭლებდა, მაგრამ წესიერი, გამგონე და მორჩილი იყო, ამიტომ მასწავლებლები ღმობიერად, გულსხმირად ეპყრობოდნენ, კუთვნილზე მეტ ნიშანს უწერდნენ.

ეს ამხანაგებში შურს როდი იწვევდა, პირიქით, ისინი თავდაც ეხმარე-



# შიდა, ქსუნი ხანაჯა



ბერ სოფელს როდი ხვდენია წილად გამხდარიყო რომანის თემად. სოფელ სანავარდოს კი პირველი ქართული საბჭოთა რომანი მიეძღვნა. ეს იყო დემნა შენგელიას „სანავარდო“.

თუ როგორი იყო ეს სოფელი რევოლუციამდე, ამის ნათესაყოფად ერთ ადგილს მოვიტანთ ამ წიგნიდან:

„ქაობი და ჭონჭყო. ლელი და ლაქაში. აქა-იქ ისლით დახურული, წაფერდილი ქოხები... ეზოები მოლნარით გადაშვანებული. ქოხების წინ პერანგისამარა, მუცელგასიებული, გამოყვითლებულ, ტყირბიან გოგო-ბიჭების ფეხშიშველი ტანტალი... ჩამონგრეული ღობეები. სანავარდო წყდებოდა ციებ-ცხელებით. სასაფლაო ვერ იტევედა თხმელის კუბოებს. ქაობი იყო ყველგან. გაჭრილ საფლავეებში წყალი ამოდიოდა.“

არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი.“

აქ მართლაც სრული სურათია დახატული, შეამარწუნებელი სურათი.

აბა ახლა ესტუმრეთ სანავარდოს! როგორ შეცვლილა ყველაფერი, რა სასწაულები მოუხდენია დიდ ოქტომბერს, რომლის შუქი თებერვალში მოეფინა საქართველოს.

დღეს სანავარდო ქალაქია, შეერთებული სამტრედიასთან; აქაურ კოლმეურნობასაც ასე ეწოდება — ქალაქის კივიძის სახელობის კოლმეურნობა. მას აგერ ოცდაათ წელზე მეტია სათავეში უდგას შესანიშნავი ქართველი ქალი, გამრჩე და ჰქვიანი ხელმძღვანელი თამარ თავაძე.

სამი ათეული წლის მანძილზე საკოლმეურნეო მინდვრებში გამუდმებით გარჯასა და ფუსფუსს გაუქაფებია თამარის ჯანმრთელობა, ფოლადივით უწერთია მისი ხასიათი. იგი ძალზე ხალისიანი და მსუბუქი იუმორის გრძნობით სასვე ადამიანია.

— ზოგს ჰგონია, თამარ თავაძე უბერებელიაო, მაგრამ ხომ ხედავთ, შვილებო, დაგებრდი უკვე, დაგებრდი! ხალხი ვერ მელევა, თვარა ჩემმა აგრონომმა შვილმა კი მითხრა ამასწინათ, დაანებე, დედაჩემო, თავი მუშაობას და მე ამირჩიეთ თავმჯდომარეთო. არა, ბატონო, არა, ჩემს აშენებულ კოლმეურნობას იმას ვერ დავანგრევიებ!

ღიახ, ასე ხუმრობს თამარი... — ოცდაათიან წლებში არტელი რომ ჩამოვაყოლიბეთ, — ამბობს სანავარდოელი მოხუცი კოლმეურნე, მიხეილ ნაცვლიშვილი, — „განთიადი“ კი დავარქვით, მაგრამ არ იკითხავთ, რისი ბატონბატრონი ვიყავით? ორი უღელი ხარი, ორიც კავი და სახნისი, ეს იყო მამის მთელი ჩენი ავლა-დიდება.

— თავმჯდომარედ რომ ამირჩიეს, ერთი სასიმინდეც კი არ ჰქონდა კოლმეურნობას, — იგონებს თამარი, — რაღაც ათიოდე ტონა სიმინდს ვიწვედით და იმასაც კერძო პირებთან ვინახავდით, პირველსავე წელიწადს დიდი ბედელი ავაშენეთ.

— თამარ, სად გაქვს სიმინდი; ამხელა სასიმინდს რომ აშენებო, — მითხრეს, ვიმუშაოთ და გვექნება-მეთქი, ვამბობდი.

მომდევნო წელს მართლაც იმდენი სიმინდი მოვიწიეთ, მეორე ბედლის აშენება დაგვიკორდა. ხალხმა შეხედა, შრომადღებე რაღაც რომ მიიღო და უფრო გულიანად მოჰკიდა საქმეს ხელი. არც მე



თამარ თავაძე ფერმაში.

ვისვენებდი და არც მათ ვასვენებდი. ნელ-ნელა გავიმართეთ წელში. სოფელიც მოლონიერდა, მერე საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოჩნდა სახსრები.

თამარს სახლში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას უდევს შვილებისა და შვილიშვილების სურათები. ახლა, როცა ძველ ამბებს იგონებს, თვალი იჭით მიუბრბის, სადაც სურათები ეგულება. თუ ერთი წუთის წინათ ჩვენს წინ იჭდა სოფლის მეთაური, ვაჟკაცური შემართების ქალი, ახლა იგი მოსიყვარულე დედად იქცა.

— დედა ენაცვალს ჩემს შვილებს, რამდენჯერ ყოფილა, რომ მათთვის ალერსი დამიკლია და თითოეული ძირი სიმინდისა და ბოსტნეულისათვის მი-

ლოლიავენია, — ამბობს იგი და წუთით ყურდება მაგრამ მალე, თითქოს ვულჩვილობის გამოძვლავნება შერცხვო, მის სახესა და ხმას კვლავ უბრუნდება ჩვეული რიზი და ახლა ისევ სოფლის მოთავე ლაპარაკობს.

— მარტო მე, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვაგაკეთებდი, გვერდში რომ არ ამომდგომოდნენ გამრჩე და შესანიშნავი ადამიანები — გალაქტიონ, ანიჩკა, თათეოზ და მეთოდე გვენეტაძეები, ტარასი, ტონია, ოლია ვეკუა, იუცა ქოიავა, ანეტა კალაძე, პაშა კალანდაძე, ჭეთო კეშელავა, ოლია ხუნდაძე, კიდევ სხვები, თუ რაიმე გამიჭირდებოდა, მათთან მივდიოდი, რჩევას ვეკითხებოდი.

თამარი სიცილითა და ხუმრობით ჰყვება გარდა-

სამტრედია. ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის მუშები.







გვითხველის უყრადღებო ამკრად გვიდა შევა-  
ჩვრით აღოღელ ბარტელის სამტომიან ნაშრომზე  
„მსოფლიო ლიტერატურის შესავალი“. რომელიც  
გამოცა მიუნხენში, 1918 წელს. წიგნის შინაარსზე  
კარგად მიტყვევებებს ჟესსაშორის „უძველეს დრო-  
იდან თანამედროვეობამდე გოეთეს ცხოვრებასა და  
თხზულებებთან დაკავშირებით“. ამგვარად, რო-  
გორც ჟესსაშორისიდან ჩანს, მსოფლიო ლიტერატუ-  
რის მოვლენები დანახულია „ფაუსტის“ ავტორისად-  
მი მიმართების პრინციპიდან. პირველ ტომში ლაპარაკია  
გოეთეს ბიოგრაფიასა და მის ადრინდელ ნა-  
წარმოებებზე; მეორეში — მწერლის დამოკიდებუ-  
ლებზე კლასიციზმსა და რომანტიკულ მიმართუ-  
ლების მწერლებისადმი; მესამეში — მოხუცი გოე-  
თეს დამოკიდებულებზე მსოფლიო ლიტერატურის-  
ადმი. აი, სწორედ აქ არის თავი „აღმოსავლური  
ლიტერატურები“ (გვ. 17-118); რომელშიც მიმო-  
ხილულია გოეთეს დამოკიდებულება სპარსული და  
არაბული, ინდური და ჩინური, აგრეთვე იაპონუ-  
რი ლიტერატურისადმი. თავის იმ ადგილას, სადაც  
სრულდება სპარსული ლიტერატურაზე, განხილულია  
თურქული ლიტერატურა, ხოლო შემდეგ ქართული  
მწერლობა (გვ. 118), რომელსაც მოს-  
დევს ლაპარაკი სომხურ ლიტერატურაზე. შეიძლე-  
ბა დაბეჭდებით ითქვას, რომ ქართული მწერლობა  
ასეთ სპეციფიკურ განსაზღვრაზე კიდევ არავის გა-  
წინებულა და, რა თქმა უნდა, იხადება კითხვა —  
რა შეიძლება ითქვას ჩვენს ლიტერატურაზე გოე-  
თესთან მიმართებაში?

თავის სათქმელს აღოღელ ბარტელის იმის განცხა-  
დებით იწყებს, ქართველები მცირერიცხოვანი ხალ-  
ხიო, მაგრამ მათი ისტორია და კულტურული გან-  
ვითარება უადრესად მიზიდულია და საინტერესო  
სო, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლიტერატურა,  
როგორც სომხური, ქრისტიანული საეკლესიო ხასი-  
ათისა, რამაც სპარსულ ლიტერატურას ხელი ვერ  
შეუშალა მასზე დიდი ზეგავლენა მოეხდინათ. თამა-  
რის მეფობის დროს ქართველი პოეტები პროზაუ-  
ლად ამოშვებენ სპარსულ თქმულებებს ვისისა და  
რამინის შესახებ. აქვე მოტანილია ამჟამად საფუძ-  
ვლიანად უარყოფილი მოსაზრება, თითქმის სპარ-  
სული ლიტერატურის გავლენით დაიწერა რუსთა-  
ველის პოემა. მეცამეტე საუკუნეში შექმნილია ლი-  
ტერატურის განვითარება, რომელიც მეჩვიდმეტე  
საუკუნეში ისევ აღორძინდა საქმეში ჩახედული და  
ლიტერატურულად განსწავლული ქართველი მეფე-  
ების შემეგობით.

აი, თურმე როგორ მიმართებაში ყოფილა გოეთე  
ქართულ მწერლობასთან; „დასავლურ-აღმოსავლურ  
დივანში“ გოეთე თავის ენაზე ლექსავდა სპარსული  
პოეზიის ნიმუშებს სწორედ ისე, როგორც ქართვე-  
ლი პოეტები თარგმნიდნენ თავიანთ ენაზე ფირდო-  
უსისა და ნიზამის პოეზიის ნიმუშებს.

თავის ნარკვევში აღოღელ ბარტელის ლაპარაკობს  
უფრო მეტად ქართულ მწერლობაში სპარსული  
ელემენტის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი  
არაფერს ამბობს ქრისტიანულ რელიგიასა და სასუ-  
ლიერო მწერლობაზე, აგრეთვე თვითმუხლად საერო  
მწერლობაზე. და ეს განსაზღვრება: სპარსული ლი-  
ტერატურის ასპექტიდან ქართული მწერლობის შე-  
ფასების დროს უადგილოა ლაპარაკი ქრისტიანულ  
სარწმუნოებასა და ქართულ სასულიერო მწერლო-  
ბაზე. საერთო სურათი კი არაწესტი და არასწორი  
გამოდის.

ცნობები ქართულ მწერლობაზე მოიპოვება აგრეთვე  
პაულ ვიგლერის ბერლინისა და ვენაში გამოცემულ  
წიგნში: „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“<sup>1</sup>. 1914 წლის  
გამოცემის ერთ-ერთ ქვეთავში, რომელშიც განხილულია  
აღმოსავლური-ქრისტიანული, კერძოდ სირიული, კოპტური  
და სომხური მწერლობა, სულ რაღაც ორიადე სტრიქონში აღ-  
ნიშნულია: „ქართულ მწერლობას მეტად მჭიდრო  
კავშირი აქვს მეზობელ ხალხების მწერლობასთან,

და რომ მისი უბრწყინვალესი ხანა იყო თამარ მე-  
ფის ეპოქაში“.

იმავე წიგნის შემდგომ გამოცემაში 1928 წელს  
ავტორს შეუტანია თავისებური კორექტივი. ტექს-  
ტში შემოყოყნით ცნობებს ემატება ახალი ინფორმაცია  
მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით.  
საბოლოოდ პაულ ვიგლერის კონცეფცია ასეთია: თამარის მეფობის ხანაში უმა-  
ღლეს მწვერვალს მიღწეული ქართული მწერლობა  
განიცდის დაქვეითებას მომდევნო საუკუნეებში და  
შხლოდ მეოცე საუკუნეში აღორძინდა იგი. კონცეფცია  
საკმაოდ ზედრეტეა, არც რუსთაველია მოხსენებული  
და არც ის ოსტატები ქართული სიტყვისა, რომელთაც  
მომდევნო საუკუნეებში წინ მიჰყავდათ ქართული  
კულტურა.

და ბოლოს მეოთხე ავტორი.  
1904 წელს შვეიცარიაში, ციურიხში კინდლერის  
გამოცემლობამ გამოცა ვოლფგანგ ფონ აინჰიდლის  
მეორე შედგენილი წიგნი: „მსოფლიოს ლიტერატურები  
მათ ზეპირსიტყვიერებითა და წერილობით გადმოცემებში“<sup>2</sup>.  
როგორც სათაურისადაც ჩანს, მასში განხილულია  
მთელი ქვეყნის დიდი თუ პატარა ხალხების ლიტერატურა,  
მათ შორის ისეთებისა (ბოშები, ბასკები და სხვა),  
რომელთა მწერლობაზე ცნობები თითქმის არაადა  
გვხვდება მსგავს ისტორიებში.

საგანგებო თავში „აღმოსავლეთის ქრისტიანული  
ლიტერატურა“ სირიულ, ქრისტიანულ-პალესტინურ,  
კოპტურ, ეთიოპურ, სომხურ და სხვა მწერლობებთან  
ერთად განხილულია ქართული ლიტერატურა (გვ. 189-  
148), რომლის ავტორიც არის მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი,  
ორიენტალისტი იულიუს ასფალგი.

ქართველია დამწერლობით — აღნიშნავს ასფალგი —  
ევროპელი მკვლევარები დიდად არიან დაინტერესებულნი  
და ქართული ლიტერატურა ამას საფუძვლიანად  
იხსახურებს, რადგანაც კვლევარობად მნიშვნელოვანი  
საკვლეპისო ლიტერატურის გვერდით მას უკვე მეთერთმეტე  
საუკუნიდან მოკავება საერო მწერლობაც. ვერც ასფალგი  
ახერხებს თვალს გაადევნოს ქართული მწერლობის  
ეროვნულ ტრადიციებს და ძალზე აწვიადებს მეზობელ  
ხალხთა მწერლობის გავლენას ქართულზე.

ქრისტიანული ლიტერატურის მიმოხილვისას ი. ასფალგი  
ახსებლებს იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობას“,  
აბო თბილელის წამებას, მარტვილობას ცხრათა  
ძმთა კოლაელთა და გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის  
ცხოვრებას. ეს თხზულებები თავიანთი „ეინს სინაოფოთი  
და ცხოველმყოფლობით“ (გვ. 140) განსაკუთრებით მოხსენების  
დირსნი არიანო. აქვე ლაპარაკია ქართულ საისტორიო  
მწერლობაზე. უკვე მეთათ-მეთერთმეტე საუკუნეებში  
აღმოცნდა საერო მწერლობა, რომელიც მომდევნო  
საუკუნეში სულ უფრო მეტად ვითარდება სასულიერო  
მწერლობასთან შედარებით. ასფალგი საკუროდ მიიჩნევს  
საგანგებოდ განხილულს დავით აღმაშენებლისა და  
თამარის მეფობის ხანა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური  
აღმავლობა და ის ნიდაგი, რომელზედაც შეიქმნა  
შოთას პოემა. „ვეფხისტყაოსანი“, მისი თქმით, დედმდე  
ჩრება ქართული მწერლობის განუმეორებელ  
ქმნილებად, რომლის მხატვრული ოსტატობის დონემდე  
ვერს ახლავ ვერც ერთი ქართველი პოეტი. „ვეფხისტყაოსანი“  
არის ეროვნული ეპოსი, რომლის სახეები და  
ვითარებანი უტოლდებიან მსოფლიო ეპიკური თქმულებების  
საუკეთესო ნიმუშებს. შოთას გვერდით მოდგავე სხვა,  
აგრეთვე მნიშვნელოვანი მწერლები — სარგის თმოგველი,  
მთხე ხო-

ნელი და იოანე შავთელი — ქმნიან სატრფიალო პოეზიის და  
საგვირო ეპოსის საუკეთესო ნიმუშებს.

მეცამეტე საუკუნეში დაცემული და დაქვეითებული  
ლიტერატურა, ასფალგის აზრით, ისევ და ისევ  
სპარსული მწერლობის ზეგავლენით, თვითმურაზ  
პირველის, ვახტანგ მეექვსის და არჩილის შემოქმედებაში  
თანდათან ძლიერდება — და განიცდის თავისებურ  
„ლიტერატურულ რენესანსს“.

თანამედროვე ქართული მწერლობა, — აღნიშნავს ი. ასფალგი —  
იწყება ამთავრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში;  
როგორც პოეტის, ისე მთელი მცურამეტე საუკუნის  
ლიტერატურის განხილვისას, ასფალგი კვლავ აწვიადებს  
უცხოური გავლენების მნიშვნელობას. ავტორი ძალად  
შეგახებას აძლევს მოწინავე და ზუმანური იდეებით  
აღსავსე „კალმასობას“. მეცრამეტე საუკუნის პირველ  
ნახევარში, — ი. ასფალგის შეფასებით, — ალექსანდრე  
კეკელიძე იყო ნიჭიერი რომანტიკოსი მგოსანი,  
რუსული და ფრანგული ლიტერატურის ნიმუშების  
კარგი მთარგმნელი. ასევე მნიშვნელოვანი პოეტები იყვნენ  
გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ხარაძეშვილი.  
იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში  
ყალიბდება რეალისტური მიმდინარეობა.

გადამწვევტი შემოხრუნება ლიტერატურის სარბიელზე,  
— აღნიშნავს ი. ასფალგი, — მოკვერა კქტომბრის  
რევოლუციას, რომელმაც ქართული მწერლობა გააშდიდა  
ახალი იდეებით და თემებით.

როგორცა ვხედავთ, იულიუს ასფალგი საკმაოდ სქემატურად  
მიმოხილავს ქართული მწერლობის განვითარების  
სურათს. ამას გარდა იგი იმეორებს ლეგენდას  
ქართული ანბანის შექმნის საქმეში მესროფის  
„დამსახურებაზე“ (გვ. 189). თუ ასეთი გულუბრველო  
მსჯელობა რამდენადმე მისატყვებელი იყო ქართულ  
ლიტერატურაზე მომუშავე ადრინდელი ავტორებისათვის,  
უკანასკნელ ხანებში იგი მოუთმენელი და შეუწყნარებელი  
გახდა. აქედანვე ჩავახიფილის საგანგებო  
გამოკვლევის შემდეგ (იხ. „მედილი სომხური  
საისტორიო მწერლობა“, ტფილისი, 1988,  
წიგნი პირველი) მსჯელობა ქართული ანბანის  
სომხური წარმოშობაზე ნიშნავს საქმის  
ნამდვილი ვითარების არცოდნას. საქართველოში  
რამდენიმეჯერ ნამყოფ იულიუს ასფალგს შეეძლო  
მიდღო თავისი კვლევისაგან მართებუ-  
ლი ინფორმაცია ქართული ანბანის წარმოშობისა  
და ჩამოყალიბების საკითხებზე.

გარდა ამისა, იულიუს ასფალგი ერთგვარად ჩრდილავს  
ჩვენი მწერლობის თვითმყოფოტისა და დამოუკიდებელი  
ხასიათს და აწვიადებს ქართული სასულიერო  
ლიტერატურისათვის მეზობელ ხალხთა მწერლობის  
გავლენას, აწვიადებს საქართველოში  
კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას და მათ  
ზემოქმედებას ქართული კულტურის განვითარებაზე.  
და ბოლოს ი. ასფალგის ნარკვევში არაა მოცემული  
თანამედროვე ლიტერატურის რამდენადმე სრული  
და მართებული სურათი.

თავს — „აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურა“, —  
რომელიც აგრეთვე ი. ასფალგის მიერაა დაწერილი,  
ერთვის გამოყენებული კრიტიკული ლიტერატურის  
დასახელება. ავტორი მიუთითებს სირიული და  
კოპტური, ქრისტიანული-არაბული, ეთიოპური და  
სომხური ლიტერატურის მიმოხილვისას მომარტველ  
მეცნიერულ წყაროებზე, მაგრამ იგი არც ერთ  
წიგნს არ ასახელებს ქართულ მწერლობასთან  
დაკავშირებით (გვ. 144). მწინადა განსაგებია,  
თუ როს საფუძვლზე არ მიიჩნია ი. ასფალგი  
საკუროდ რომელიმე ქართული გამოყენებული  
მეცნიერული წყაროს დასახელება, მით უმეტეს,  
რომ იგი მის კორნელი კაკელიძის ქართული  
ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის გერმანულ ენაზე  
აქამთარგმნელი.

პროფ. შოთა რაპინიძე

<sup>1</sup> A. Bartels, Einführung in die Weltliteratur, Bd. I—III, München, 1913.  
<sup>2</sup> P. Wiegler, Geschichte der Weltliteratur, Berlin u. Wien, 1914.  
<sup>3</sup> Die Literaturen der Welt in ihren mündlichen und schriftlichen Überlieferung, Zürich, 1964.

მეხარე.



ბრიგადირი



ხე-ტუის დამცურებელი.



### კ. ზაბაძე

მოქანდაკე კიმი ტაბატაძემ თბილისის სამხატვრო აკადემია (პროფ. კ. მერაბიშვილის კლასი) დაამთავრა 1958 წელს ამ დროიდან იგი სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. მისი ნამუშევარი „მეველე“ გამოფენილი იყო კიევში, ვილნიუსში, ტალინში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იტალიის ქალაქებში.

ამჟამად მოქანდაკე საკავშირო გამოფენისათვის ამზადებს ციკლს „ენგურჭესის მშენებლები“


ვაქვეყნებთ მის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს.



ბირიყები.



ჯაკოპანე.



კვეჯანი.

პეიზაჟი (პოლონეთი)

# ჰელნიკა კეზედაჰე



პარონიო.



თუშეთი.



სახურავეზი.



ქუჩის განაპირას.



ჯავესი.



არავეის მირას.



ბიჭვინთის ტყეში

მამია აბრეჯინა

# ერთი განძის საიდუმლო

### მოთხრობა

თბილისიდან დაბრუნებული რეზო გელაშვილი შინ არც შესულა, პირდაპირ მილიციის განყოფილებისაკენ გაეშურა, სულმოუთქმელად აირბინა კიბეები და ბონდო მასისაშვილის კაბინეტის კარი ერთბაშად შეაღო. მაიორს გაეღიმა, მიხვდა, რომ ოპერაჩემბერებს კარგი ამბავი მოჰქონდა.

— ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, ამხანაგო მაიორო... ის კაცი...

— მოიცა, რეზო, დაწყნარდი და დალაგებით მომიყვივი...

— მინდოდა მეთქვა, მოკლულის ვინაობა დავადგინე-მეთქი.

— მისამართი? — ჰკითხა რატომღაც შემკრთალმა მაიორმა.

— რა თქმა უნდა, მისამართიც. აქამდე ფეხზე მდგარი გელაშვილი სკამზე ჩამოჯდა და დაიწყო:

— თითების ანაბეჭდის მიხედვით თბილისში ძალიან მალე გაიგეს მოკლულის ვინაობა. „მათე ნიკოლოზის ძე კენჭაძე, დაბადებული 1927 წელს, ქალაქ თბილისში, მცხოვრები ფალიაშვილის ქუჩა № 148“ გარკვევით ეწერა ცნობაში. ეს უბედური ციხეში ორჯერ მჯდარა. იმაზე ადრე ჭერ ერთი, მერე მეორე დიდი საწყობის გამგედ უშუშავინა. 1958 წელს პირობითი გაუთავისუფლებით, მერე ვაკის პარკში მოწყობილა მებაღედ და მას შემდეგ იქიდან ფეხი არსად გაუდგამს. მე უკვე ვიყავი ფალიაშვილის ქუჩაზე. ეზო საქმაოდ დიდია. კენჭაძე ვიკითხე. ხანში შესულმა ქალმა მისი ბინა მაჩვენა და დასძინა: „ოთხი-ხუთი დღე იქნება, თვალი არ მომიკრავსო“; მადლობა ვუთხარი, ახლა ვაკის პარკში ვიკითხავ-მეთქი, მის გასაგონად ვთქვი და ეზოდან გამოვედი. აბა იქ რაღა მიხდოდა?! მე თვითონ კარგად ვიცი, რა ბედიც ეწია საცოდავს.

— დასაწყისი კარგია, — ჩაფიქრებით თქვა მაიორმა, — მაგრამ ჩვენში რომ ვთქვათ, ჭერ მაინც არაფერი ვიცით.

რეზომ გაკვირვებით შეხედა მაიორს. ბონდო მიხვდა ახალგაზრდა კაცის აღგებების მიზეზს.

— საყვედურს კი არ გეუბნები, ბიჭო! დავალებდა შენ კარგად შეასრულე, მაგრამ აბა დაფიქრდი რას მივიღწვივებ? ვაფაგეთ მოკლულის გვარი. ხომ ასეთია? მასისაშვილი ფეხზე წამოდგა, — განა ეს საკმარისია! მთავარია ვიპოვოთ მკვლელი... ამ საიდუმლოების ამოსახსნელად კი ჩვენ ჭერჯერობით თითქმის არაფერი გავგავანია.

რეზო დალონდა. მიხვდა, მაიორი მართალს ამბობდა.

— ჩვენ ისევე თბილისში მოგვიწვეს წასვლა, რეზო! — უცბად თქვა მასისაშვილმა, — კენჭაძის ასავალ-დასავალი საგულდაგულოდ უნდა შევისწავლოთ. რა კაცი იყო, ვისთან მეგობრობდა, რა უნდოდა გომბორში... გული მეუბნება, რომ დამნაშავეები ვერ დავისხლტებიან ხელიდან.

ბონდომ ყურმილი აიღო და შოფერი გამოიძახა. — კარლი ხარ? ახლავე წადი პროფილაქტიკაში და მანქანა სამომლოდ მოამზადე. დილით ადრე თბილისში მივიღივართ.

...გომბორის ვადასასვლელი, სადაც გასულ კვირას შემზარავი ამბავი მოხდა, თეთრად გადაპენტილიყო. ახლად აყვავებული ხეები ისე შერწყმოდნენ მწვანე კორდებსა და ფერღობებს, ალბათ ვერც

ერთი მხატვარი ვერ შეარჩევდა უკეთეს ფერებს. მაგრამ მგზავრებს ამ სილაამაზის საყურებლად არ ეცალათ. მთელი მანძილი ისე გაიარეს, რომ ბონდო მასისაშვილსა და რეზო გელაშვილს ხმა არ ამოუღიათ. ახლა ისინი უთქმელადაც კარგად ხვდებოდნენ ერთმეორის ფიქრებს.

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, როდესაც მათი მანქანა ფალიაშვილის ქუჩაზე გაჩერდა. ხანში შესულმა ქალმა იცნო რეზო გელაშვილი და თვითონ დაასწრო.

— თქვენ ალბათ მათესთან მოხვედით ისევე, მაგრამ, როგორც ჩანს, კვლავ ვაგასწროთ, — ის გულწინდელივით მივიდა კენჭაძის ბინასთან, ჭერ ზარი დახტო, მერე კარსაც მიუჯაკუნა.

ფარდებამოფარებულ ფანჯრებს იქით საოცარი სიჩუმე იყო. ბონდომ ერთ წუთში მოასწრო ეზოს დათვალაობა. კენჭაძის ბინა განმარტობით იდგა. იქ შესვლა-გამოსვლა სხვას არავის შეაწუხებდა, მაგრამ ზედა სართულებიდან კარგად გამოჩნდებოდა მისი განათებული ფანჯრები.

— უფრო ადრე უნდა მობრძანდეთ, გენაცვალე. მათე ყოველდღე უთინა გაღის სახლიდან, — განაგრძობდა მოხუცი ქალი.

— რამდენი ხანია არ გინახავთ კენჭაძე? — უცბად შეეკითხა ბონდო ამ ქალს, მაგრამ პასუხი სწრაფად ვერ მიიღო. მოსაუბრე როგორღაც შეაერთო ამ კაცის მუხებზე და თითქმის ოფიციალურად ნათქვამმა სიტყვებმა.

— რა ვიცი, როგორ ვითხრათ, — დაფიქრდა, რაიმე შარში ხომ არ გავებილი და ორკოფულად უპასუხა, — ალბათ ხუთი-ექვსი დღე იქნება, შეიძლება მეტიც.

ეზოში სხვა მოზინადრეებმაც გამოიხედეს.

— ალბათ ვაკის პარკში იქნება, მეგობარო! — მეორე სართულიდან გადმოსძახა ჩასუქებულმა, ლოყებლაქადა კაცმა ბონდოს, რომელიც ფოსტლების ტყაბა-ტყუბით ჩამოდიოდა კიბეზე. აკრიტიკებული კიბე, გეგონებოდა, სადაცაა ჩაიხრკვევაო.

— ვაკის პარკში უკვე ვიყავით, — პასუხი დაუბრუნა გელაშვილმა.

— ვერ ნახეთ? ალბათ სხვაგან წავიდა, — განაგრძობდა ზონზროხა მეზობელი, — წუხელ სახლში იყო, შუალამისას გამოვედი გარეთ და შევნიშნე, მათეს ისევე ეღვიძა, სინათლე ენთო.

ბონდო მასისაშვილს სუნთქვა გაუჩერდა, გვერდით მდგარ რეზოს ვადახედა. გელაშვილი დაბნეული შესცქეროდა ახალი ამბის მომტანს. მაიორს შეეშინდა ოპერაჩემბერებს ისეთი არაფერი წამოცდეს, რომ საქმე წახანდნოსო და სრულიად გულგრილი გამომეტყველება მიიღო:

— მართალს ამბობთ, ბიძაჩემო? — პირდაპირ შეხედა თვალებში უკვე ეზოში ჩამოსულ კაცს ბონდომ.

— რა მაქვს მოსატყუარი, — გაიკვირვა უცნობმა, — ან მატყუარი კაცს რა მივაჯს, ბიძიკო?

მაიორი მიხვდა, რომ ახლა ამ ეზოდან წაავლა იყო საჭარო. აქ ჭერ კიდევ არ უნდა სცოდნოდათ მათე კენჭაძის სიკვდილის ამბავი. ხმა არავისთვის გაუცხი ისე გავიდა. ქუჩაში და გაოცებული მოზინადრეები ეზოში დატოვა.

რეზო გელაშვილი უკვე მანქანაში უკლდა.



თბილისელმა კოლეგამ ყურადღებით მოუსმინა ბონდო მასისაშვილს, მოეწონა ეს ნაადრევად თმა-

შევერცხლილი, ენერგიით სავსე მაიორი და ფალიაშვილის ქუჩის უბნის ინსპექტორი იხმო. ტანმაღალი ლეიტენანტი ერთობ ენაწყლიანი გამოდგა.

— მებაღე მათე? როგორ არ ვიცნობ, ერთი ჩანჩურა კაცია, მაგრამ პატიოსანი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი შემიმჩნევია.

როცა პასპორტისათვის გადაღებული სურათი უჩვენეს, უფრო დარწმუნებით თქვა:

— ნამდვილად ის არის. ფალიაშვილზე ცხოვრობს და ვაკის პარკში მუშაობს...

უხერხული სიჩუმე ისევ უბნის ინსპექტორმა დაარღვია.

— რა მოხდა, რა ჩაიღინა?

— კენჭაძე გასულ კვირას მოკლეს უცნობმა პირობებში, — ძალიან მშრალად გამოუვიდა ნათქვამი ბონდომ.

— მოკლეს? სად, როგორ?

— ჩვენც სწორედ მაგის გავება გვინდა! — ლაპარაკში ჩაერია რეზო გელაშვილი.

— ვინ რას ერჩოდა იმ საცოდავს, — ჩაილაპარაკა უბნის ინსპექტორმა.

— მისი მოკვლის ამბავი არ იციან მეზობლებმა, — თქვა მასისაშვილმა, — გადავწყვიტეთ ჭერ არ გავაგებინოთ, და იცით რატომ? წუხელ, შუალამისას მათეს ბინა ვილაქავს ვაღლია. ხომ შეიძლება ის უცნობი კიდევ გამოჩნდეს? მინდა ერთი ისეთი კაცი მოგნახოთ, ლამაზობით თვალი ადევნოს გამოკეტილ ბინას. სანდო კაცი უნდა იყოს, შორიდან ვერ მოვიყვანთ, იგი ისევე მოკლულის მეზობლებში უნდა ვეძებოთ. იქნებ უბნის ინსპექტორი დაგვეხმაროს.

— არა სჭობდა ბინა გავგეხჩრკია? — იკითხა გელაშვილმა.

— არა, ბოროტმოქმედი დაფრთხება...

— სანდო კაცი, — თავისთვის ჩაილაპარაკა უბნის ინსპექტორმა, — სწორედ იმ სახლში ცხოვრობს ვაბო შარაშიძე, სამსახურიდან გადამდგარი პოლიოკონიკი. მისი ბინა სწორედ მათე კენჭაძის ოთახის ფანჯრებს უსწორდება.

გადამდგარი პოლიოკონიკი ერთი შეხედვითვე მოეწონა ბონდოს. შარაშიძე გულწრფელად შეაწუხა მეზობლის სიყვდილმა, მილიციის მუშაკებს დახმარებდა აღუთქვა და იმასაც შეპირდა, რომ ჭერჯერობით ყველაფერს საიდუმლოდ შეინახავდა.

— კირილე ტყუილს არ გეტყვალათ, — თქვა ვაბომ ლყებლაქადა მეზობელზე, — ალბათ მართლა დანახა სინათლე მათეს ბინაში, თორემ აბა რა რჩადა. ჰოდა, იქნებ ის უცნობი კიდევ გამოჩნდეს...

— იმავე წუთს დავვირეკეთ, დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.

კოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორც კენჭაძის მეზობელს, ერთი რამ მინდა გკითხოთ, — შორილებით შეხედა მაიორმა შარაშიძეს, — ხომ არ შეგიმჩნევიათ ვინ მოდიოდა ამ კაცთან ბინაში, რა ხალხი იყრიდა თავს, საექვო ღრუბლებს ხომ არ მართავდა ხოლმე?

— როგორ ვითხრათ, ერთი გულჩახვეული, საცოდავი კაცი იყო. პარკის დარაჯს აბა რა შემოსავალი უნდა ჰქონოდა, რომ ღრუბები გაემართა. ისე კი ამბობდნენ, მორფს ეტანებო. დანამდვილებით კი არ ვიცი, სხვა მხრივ მასზე ცუდი არაფერი გამიგია. რამდენჯერმე სასაუბრესთან ვნახე თავისი მეგობრებით. ერთი მათგანი ისევე პარკში მუშაობს, ბაღს რწყავს ხოლმე. თუ შემხვდა, ვიცნობ, მაგრამ

\* გაგრძელება, იხ. „დროშა“, № 11, 12.

არც სახელი ვიცი მისი და არც გვარი. შინ მხოლოდ დასაძინებლად მოდიოდა. ისიც ხანდახან, ალბათ იქვე, პარკში ათევდა ღამევებს. ახლობელი არაფერი გაჩნდა და მეზობლობითაც ყველასთან ერთნაირად იყო. ცუდი არაფერი შემომჩნევია, ისე მეზობლებში მომდურებულნი არავინ ჰყავდა. მისი სიკვდილის ამბავს რომ გაიგებენ, ნამდვილად შეწყუბუნდებიან.

ერთხანს კიდევ ისაუბრეს, მაგრამ საქმისათვის სასარგებლო მათსაშვილმა ვერაფერი გაიგო. იმედოდ ისლა რჩებოდა, კვლავ-მომვიდოდა თუ არა უცნობი მათე ბინაში, ეგებ გაეგოთ ვინ იყო და რა უნდოდა.

ის იყო, ერთიმეორეს უნდა გამოეშვიდებოდნენ, როცა შარაშიემ წამოიძახა:

— ნუ გაგვიცინებთ და ერთი უცნაური რამ გამახსენდა. შარაშიანი ზამთარში, კახეთიდან გზარუნდებოდი, ტაქსით მოვიდიოდი. ნავთლუღის გარეუბანში რომ შემოვედი, ქუჩაში უცებ მომჩვენა, თითქოს მათეს მოკვარი თვალი. მაგრამ ისე მდიდრულად იყო გამოწყობილი — კრავების ძვირფასი ფაფახით, მოთირბოვლილი ტყავის პალტოთი, დუბლიონის რამ რომ ეძახიან, რომ ვიფიქრე. — ვიღაცას მივაშვავსე-მეთქი. ტანსაცმელზე გამეცქია თვალი და სახეზე ვეღარ დავაკვირდი, შოფერსაც ისე ჩქარა მიჰყავდა მანქანა... არა, ნამდვილად მომჩვენა...

მაიორიცა და რეზოც გაეღწეულხები შესცქეროდნენ შარაშიემს.

— იქნებ არ მოგჩვენა? — რატომაც ჩურჩულით ჰკითხა მათსაშვილმა.

— არა, ეს შეუძლებელია, ასეთი რამ მხოლოდ დეტექტიურ რომანებში ხდება! — გაიცინა შარაშიემ.

— იმ რომანებში ათ ტყუილში ერთი მართალიც ურევია. იქნება ჩვენც იმ მართალს ვადავწყდეთ...

— არა, არა... კაცი კაცსა ჰგავს... სად ეს ჩვენი საცოდავი მათე და სად ის გაბდენილი ვეგებატონი! თელაველი მუშაეები შეუფოთებულნი და დაფიქრებულნი გამოეთხოვნენ შარაშიემს. საქმე სულ სხვანაირ ელფერს ღებულობდა.

\* \* \*

ბოელი კვირა ისე გავიდა, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ასე ყოფნა უსაქმობას უდრიდა, რადგან ვაკის პარკში და უკვე დადგენილ მათე კენჭების ნაცნობებში, თითქმის ვერაფერი შენიშნეს საეჭვო. ბონდო მათსაშვილი და რეზო გელაშვილი ამ ბაღის მუდმივი სტუმრები გახდნენ. ისინი დილიდან საღამომდე ისხდნენ მოკლილ მოსიერნეთა გვერდით და მოთმინებით ისმენდნენ საკმაო მოძველებულ ახალ ამბებს.

ლოდინით გათანჯულნი, ახლაც უხალისოდ ჩამოსხლარიყვნენ დაბურულ ხეივანში.

— როდემდს უნდა ვიცადოთ, — როგორც იყო, გაბედა ხმის ამოდება რეზო გელაშვილმა, — იქნებ ის კაცე პლარე აბირებს კენჭების ბინაში შესვლას... თუ ის მართლა მკვლეელი იყო, მეორედ არც გაეკარება ამ სახლს. ხომ შევიდა, ბატონო, ერთხელ იმ ბინაში? აიღებდა, რაც უნდოდა და წავიდოდა. ჩვენ კი ვსხედვართ, ველოდებით მეორედ როდის შევხვდეთ თათს ხაფანგში... არა, არა, რაღაც არ მჯერა, — ცრტახანს გაჩერდა, — მე იმაზეც მეპარება ეგები, ნამდვილად ენათ თუ არა იმ ღამეს სინათლე... მათეს ბინაში. ხომ შეიძლება მოელანდა იმ გამოყვებულ ბებერს!

— ნუ ფიცობ, რეზო!

— ერთი კვირა უსაქმოვ ვართ, ამხანაგო მაიორო, თუ არ ავჩქარდით, მკვლეელი ნამდვილად დავეისხტება. აქამდე იგი თუნდაც ვლადიმერტოკში ჩავიდოდა.

— მე რე, ვიცით ვინ არის მკვლეელი? ვიპოვეთ კვალი? ვლადიმერტოკში კი არა, იქნებ აგერ ჩვენს გვერდით ზის და ირონით გვიყურებს — ვაი თქვენი პატრონის ბრალიო!

— ნულარ ვიცდით, გავჩხრიკოთ ბინა. მეზობლების ჩუმად შევიდეთ შიგ, იქნებ ისეთ რამეს გადავაწყდეთ, რომ... — აღარ დაამთავრა გელაშვილმა.

— დღესაც მოიცადე და ხვალ, მეზობლების ჩუმად კი არა, ოფიციალურად ჩავატარებთ ბინის ჩხრეკას.

მეორე დღეც მალე გათენდა. ფალიაშვილის ქუჩის მყიდრო ეზო შესაზარმა ამბავმა ააფორიაქა. მილიციის მუშაეებმა აღარ დაუშალეს მეზობლებს მათე კენჭების მკვლელობის ამბავი და მათი თანდასწრებით გახსნეს განმარტებით მდგარი ბინის მყიდრო კარები.

— აი თურმე ვინა ყოფილანი მე კი მათეს ახლობლები მეგონა, — ცრემლებს ვეღარ იკავებდა ხანში შესული ქალი, — მიგხვდი, ნამდვილად მიგხვდი, რომ რაღაც კარგი ამბავი არ იყო იმ საცოდავის თავს.

— ვის რა დაუშავა საწყალმა?

— მისი ხამალალი სიტყვა არ გავევიგონია.

— არ გაიხაროს იმისმა მკვლელმა!

ეცოდებოდათ მეზობლებს ეს უთვისტომო, უწყინარი, ბოგანო კაცი.

ჩხრეკას, შარაშიემსთან ერთად, მეზობლებიც დაესწრნენ. აქვე იყო უბნის ინსპექტორიც.

ოთახი უბრალოდ იყო მოწყობილი. ერთადერთი ფანჯარა მიწას ემიჯნებოდა, ძველებური ნიცილის საწოლზე სუფთა ლოგინი ეწყო, ხოლო ხის კარბაში ღამაზად ჩამწკრივებული ჭურჭელი მოჩანდა. მაგიდაზე მხოლოდ წყლით სავსე გრაფინი იდგა. საფერფლეც კი სასიამოვნოდ კრიალბდა. ეტყობოდა სახლის პატრონი თადარიგისი კაცი იყო.

უცხოდ შესულ კაცს შეეცოდებოდა კიდევ სახლის ღარიბი პატრონი და უსიტყვოდ გამობრუნდებოდა უკან, მაგრამ ახლა ბინის ჩხრეკა იყო ჩასატარებელი, და ამას ვერსად გაეცეოდნენ.

— არ გაითხარით, მომჩვენა-მეთქი. სად ამ ქონების პატრონი და სად ის გამოპრანჭული კაცი!

გუნებააშაზდარმა რეზო გელაშვილმა უხალისოდ შეხება პოლიციეციის და ხელი ჩაიჭინა.

მხოლოდ მათსაშვილი იყო მშვიდად. მისი ყურადღება კედელში დაყოლებულმა დახურულმა თაროებმა მიიპყრო. მან გადაშალაგა თაროებიდან მტყვეროდებული ნივთები და მაგიდაზე დააწყო. რას არ შეხედებოდათ აქ: ქალაქის ნაგლეგებს, რომლებზეც რაღაც ციფრები იყო ჩაწერილი, ძველ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელებს, ცარიელ ბოთლებს, წიგნებს, მათ შორის ფურცლებზემოძარცულ „საბარბას“, საღერგლო იარაღებს და ათას წერილმანს.

მათსაშვილი, იქ მყოფთა გასაოცრად, სწორედ ამ ძველმანებში იჭებოდა.

საქმეს კარგი პირი არ უჩანდა. დაილაღნენ, მაგრამ ისეთი ვერაფერი იპოვეს, რაც ოდნავ მაინც საინტერესო იქნებოდა. მაიორის ყურადღება მარტო ერთმა ნივთმა მიიქცია. ეს იყო ძვირფასი თელბიითა და ორნამენტებით მოჭედილი მაცხოვრის ხატი; მაიორმა ხელში აიღო, სინათლეზე გახედა. ამ ხატის აქ გამოჩენა მეტად უცნაური იყო.

— თუ მათე მორწმუნე კაცი იყო, ხატი კედელზე უნდა ჩამოეკიდა, — ფიქრობდა ბონდო, — ხოლო თუ არ იცოდა მისი ფასი, ისიც სხვა ნივთებით მოუტეველი უნდა მიეფლო. მას კი ძვირფასი განძი საგულდაგულოდ გაუხეცვია ხევერდის. ნაჭერში და, ეშმაკმა იცის, რატომ დაუყრია ხევიდან ძველმანები. ვის უშალავდა ამ ნივთს, ხოლო თუ უშალავდა, რა იყო ამისი მიზეზი? — აი კითხვები,

რომლებიც უცბად წამოიჭრა სამძებროს მუშაკის წინაშე.

მაიორს თითქმის არაფერი დაუტოვებია გაუსინჯავი. ჭუჭუკისაგან ობმოდებული ძველმანებიც კი საკუთარი ხელით გახსნა და გადაარჩია.

ხმას არავინ იღებდა. ერთ ადგილას გაჩერებული აღამიანები გაქვავებული სახეებით შესცქეროდნენ გაფითრებულ მაიორს და ვერ გამოეცნოთ, რას აპირებდა ეს კაცი. მაგრა უკვე სავსე იყო გაღარჩეული ნივთებითა და ხარახურით; ბონდომ ფიქრისანი თვალბი მოავლო ოთახს და იმ თაროსთან მივიდა, საიდანაც ხატი გადმოიღო. ვიწრო კედლები ერთხელ კიდევ შეათვალიერა, ჩვეულებრივი, ჩალამებული თარო იყო. კედლებს აქ-იქ ბათქაში ასცლოდა და პატრონის კირი თუ ცემენტი წაესვა.

მაიორმა ყოველმანებზევისათვის ამ თაროს შემოწმება გადაწყვიტა.

შიგა კედლები დარტყმისას არეულ ხმებს გამოსცემდნენ; რეზო გელაშვილმა რჩინის კეტი შემოიტანა და თაროს ჩამოგრევა ცვდა; სავსე კედელმა დიდხანს ვერ გაუძლო დარტყმებს, ჩამოიშალა და გამოჩნდა კედელში დატანებული საიდუმლო ხერეი.

ბონდომ შიგ შეიხედა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი შენიშნა და ხელი შეყო. თითები რაღაც ცივ საგანს წააწყდნენ.

— ფრთხილად ჩამოანგრე, რეზო, სამალავში რჩინის ყუთია. ისე უნდა გამოვიყო, რომ არ დაზიანდეს.

კედელი ინგრეოდა გამოზომილი დარტყმებისაგან და ჩაბნელებული სამალავი თანდათან სინათლით ივსებოდა.

ვერცხლით მოვარაყებული, ჩუქურთმებიანი მძიმე ყუთი ფრთხილად დადეს მაგიდაზე. ყველა გაოგნებული დასცქეროდა საოცარ აღმოჩენას. მეზობლებს ვერაფრით აეხსნათ საიდან განიდა იგი ამ კედელში.

მაგრამ მთავარი საკვირველება ჯერ წინ იყო.

ბონდომ მტვერი მოაცილა ყუთს და სახურავი ახალა თუ არა, შეეცუნდა. ნათურის შუქზე იქიდან ათასნაირი სხივი ამოხტა და ოთახი ფერთა ციმციმმა გაავსო. მაიორმა ხელი ჩაპყო ოქროებისა და ბრილიანტების გროვაში, მთელი მუქა უძვირფასესი სამკაულები ამოიღო და ჩხრიალით ჩაუშვა ისევე შიგ.

სამკაულებს ქვეშ დასტა-დასტა ეწყო დიდძალი ფული, ცალ-ცალკე საგულდაგულოდ შეკრული ასიანები, ორმოცდაათიანები, ოცდასთამანეთიანები... ყუთის ძირში, მწვანე დოლარები ეწყო.

ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, მთელი ეზო მათე კენჭების ოთახში ცლოლობდა შესვლას. ყველას უნდოდა საკუთარი თვალით ენახა დაუჩვარებელი ამბავი.

ოქმის წერას გვიანობამდე მოუწინდნენ.

მათე კენჭების ბინაში აღმოჩენილი ფული გადათვალეს, განძეული ექსპერტმა ხუთასოციათას მანეთად შეაფასა, ხოლო მაცხოვრის ხატი უძველესი უნიკალური ძეგლი გამოდგა.

ქალაქის სისხლის სამართლის სამძებროს მუშაეებმა მიულოცეს ბონდოს, მაგრამ მაიორი ხედავდა, რომ საქმე უფრო გართულდა.

ვინ არის ეს იატაკქვეშელი მილიონერი, საიდან იშოვა მან ეს ქონება, ან ვინ მოჰკლა იგი, რატომ მინცდამინც გამობორჩი წაიყვანეს და იქ გამოასალმეს სიცოცხლეს, — ყველა ეს კითხვა პასუხს მოითხოვდა.

მკვლელის კვალი კი ჯერ არსად ჩანდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# „ლოცვიდენ შიშვილის მორჩინისათვის“



XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი ავბედითი გამოდგა სეფიანთა ირანისათვის. დაქვეითების პროცესი, რომელიც შაჰ-აბას I-ის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, თანდათან ღრმავდებოდა და უფსკრულისაკენ მიაქანებდა ოდესღაც ძლიერამოსილი იმპერიას.

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, ადგილობრივ მმართველთა თვითნებობა, სამეფო კარზე გაბატონებული მქრთამეობა და ინტრიგები, ამა ქვეყნის ძლიერთა წრესგადსული ფუფუნება, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის განუკითხავი ყვლევა, ვაჭრობის დაცემა და გზებზე უაჩალობა — აი, ასეთი უნუგურო სურათი ისახებოდა შინაურისა თუ გარეულის თვალწინ.

თანადროული სპარსული წყაროები ძუნწად აშუქებენ ამ პერიოდს. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი ისტორიკოსების — სენხია ჩხეიძისა და იოსებ ქართველის თხზულებებს. ერთიცა და მეორეც მრავალი საინტერესო მოვლენის თვითმხილველი და თანადამხედური.

იოსებ ქართველს დაწვრილებით აქვს აღწერილი 1722 წლის კატახტოვად: ავღანთა მიერ ყიზილბაშთა დაშორის დაშორება გულნაბადის ბრძოლაში, ისპაანის აღსა და ბოლოს სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი შაჰის კაპიტულაცია.

არანაკლებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სენხია ჩხეიძე. იგი უშუალოდ მონაწილეობდა იმ ბრძოლებში, ქართველთა მცირერიცხოვნობა რაზემეცა რომ გადაიხადეს ირანის ტერიტორიაზე შემოჭრილი ტომების ყაჩაღური თავრების ასხლავდავად (XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე).

განათლებული ქართველი ისტორიკოსი, მხედარი და კარისკაცი — სენხია ჩხეიძე ცოცხლად გადმოგვცემს უდაბნოში გადატანილ ტანჯვა-წვალებას. ამავე დროს, არც იუმორის გრძობა დალატობს, არც „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები ავიწყდება და არც პროფესიული აღტაცება თავის თანამებრძოლთა უბადლო ვაჟკაცობით.

გადმოგვცემს იმასაც, თუ როგორ ღოცავდა ქალაქ ქირმანის მაღლიერი მოსახლეობა უდაბნოდან გამარჯვებით დაბრუნებულ ქართველ მხედართმთავარსა და მხედრებს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომ ჩვენად შეშველად გამოგარჩინა და დაგვიხსენ მტერთა ხელთგან... კურთხეულ არს ღმერთი, თქვენ მაგისთანა კაცნი დაუბადებხიხართ და ჩვენთვის გამოგარჩიეთო“.

განსაკუთრებით საინტერესოა სენხია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში“ ერთი ეპიზოდი, რომელიც არც ერთ სხვა წყაროში არა გვხვდება. აი, რას გვამბობს ავტორი:

1707 წლის 11 ივნისს ქალაქ მაშათში (ანუ მეშქედში) ისპაანიდან მოვიდა ჩაფარი და „წმინდა ქალაქში“ უწარმაზარი ამალითა და მთელი თავისი ჰარამხანით სალოცვად წამოსულ შაჰ სულთან-შუსეინის საგანგაშო ამბავი ამცნო — „ისპაანის ხალხის უკუდგომა და შიშვილით შეწყობება, ზღელმწიფის ალაყაფის კარის ქვით ჩაქოლვა“.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, სეფიანთა ირანის მბრძანებელს ისიც მოახსენეს, რომ სატახტო ქალაქში ამბოხებული ხალხი მოითხოვდა მისი ძმის ტახტზე აყვანას.

ხსენებული უფლისწული, სახელად აბას-მირზა, შინაპატრიოზში იმყოფებოდა შაჰ სულთან-შუსეინის გამეფების დღიდანვე. ასეთი ღმობიერი სასჯელი უცხო ხილი იყო სეფიანთა ირანში. ჩვეულებრივად, ტახტზე ასული ახალი შაჰი დაუფუვნებელი უღეტდა გვირგვინის სხვა პრეტენდენტებს, ძმა იქნებოდა თუ ბიძა, ანდა უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ აბრძავებდა და მხედველობასთან ერთად მტოკეობის ყოველგვარ შანსს ართმევდა.

შაჰ სულთან-შუსეინი თავისი წინაპრების გზას არ გაჰყვა, ძმის სისხლით ხელი არ გაისვარა და შინაპატრიოზა აქმარა აბას-მირზას, რომელიც მუდმივ საფრთხედ გადაიქცა, მით უმეტეს, რომ საყოველთაო აღიარებით მას უფრო შეეფერებოდა სამეფო გვირგვინი, ვიდრე შაჰ სულთან-შუსეინს, ყველაზე სუსტს მათ შორის, ვინც კი ოდესმე მართავდა ირანს (როგორც გვაუწყებს პოლონელი მისიონერი თადეუს კრუშინსკი).

„რა ეს ამბავი მოვიდა, — წერს სენხია ჩხეიძე, — შექნეს გმუნვა და მისცეს ბატონიშვილს ქაიხოსროს ნაიბობა ყაენისა და ტარულობა“.

„ნაიბი“ ნიშნავს მოადგილეს, ნაცვალს; ხოლო „ტარული“ ქალაქის გამგებელს ერქვა. ტარულა ინიშნებოდა პირადად შაჰის მიერ და მხოლოდ მას ემორჩილებოდა.

ტარულას მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა ქალაქსა და მის სანახებში. მაგრამ რაც ახლა ისპაანში ხდებოდა, უწყისრიგობაზე მეტი იყო და საგანგებო უფლებებით აღჭურვილი ქაიხოსრო თავის მოღვაწეობას ახალ თანამდებობაზე იწყებდა ერთობ კრიტიკულ სიტუაციაში. ისპაანში შიშვილი მძვინვარებდა, ხალხი ამბოხებული იყო და გადამჭრელი ზომები თუ უშველიდა საქმეს.

ქაიხოსრო ლევანის-ძე, ძმისწული სახელგანთი ქართველი მეფის გიორგი XI-ისა, უფროსი ძმა ვახტანგ VI-ისა, უკვე ათი წელია ირანში ცხოვრობდა, ქართლიდან გადმობეჭვილ მამა-ბიძებთან ერთად. 1708 წელს, როდესაც ლევან ჩანიშინდა გაგზავნის ქართლში, მან თავისი მაღალი თანამდებობა უფროს

ვას დაუტოვა. „დაადგო ძე მისი ქაიხოსრო ნაიბად მდივანბეგისა კარსა ხელმწიფისასა. თვით უმაწველი იყო, მაგრამ ცოდნის იადგარი, ასე გაუძღვა ირანის მდივანბეგობას, რომე დიდი და მცირე გააკვირვა“.

ომებში გამოცდილი ქაიხოსრო მართლმსაჯულების საქმეშიც გაიწაფა. „შიშვილი ისპაანში პურის ნაკლებობამ კი არ გამოიწვია, არამედ იმ ვაქართა თუ სამეფო კარის წარჩინებულთა სისხარბმ, ვინც მალავდა მას და კეტავდა გზებს, საიდანაც შემოქონდათ ქალაქში ხორბალი.

აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში პურის გაყიდვის მონომოლია ეკუთვნოდა სეფიანთა ირანის უპირველეს ვეზირს ანუ ეთიმოდოვლეს (ეს ტიტული სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სახელმწიფოს ბურჯს, სახელმწიფოს ნდობას“), რომელიც თავის ძალაუფლებას ბოროტად იყენებდა. ქალაქში შემოტანილი ხორბალი უკლებლივ ჰბარდებოდა მის აგენტებს, ისინიც საიმედოდ ინახავდნენ. ამასობაში ფასები მალდა იწვედა და უკვე მიუწვედომელი ხდებოდა ღარიბ-ღატაკთათვის; აუარებელი ხორბალი იყო ქალაქში და მანაც შიშვილობდა ხალხი.

ამრიგად, უპირველესი თანამდებობის პირი, რომელსაც ოფიციალურად ერქვა „სახელმწიფოს ბურჯი“, თვითონვე ძირს უთხრიდა სახელმწიფოს, თვითონვე ქელავდა თავისივე ქვეყნის ინტერესებს პირადი გამოჩინების მიზნით (საინტერესოა, რომ მსგავსი მოვლენა დამოწმებულია ოცოლოდ წლის შემდეგ ოსმალეთში, სადაც დიდვეზირს ხორბლით სპეკულაციამ უზარმაზარი ქონება მოუხვეჭა).

ამბოხება ისპაანში ხელოვნურად შექმნილმა შიშვილმა გამოიწვია და ქაიხოსროს მშვენივრად ესმოდა, რომ ამბოხების ჩასაქრობად შიშვილის მოსპობა იყო საჭირო, რომ სასჯელის ღირსი იყვნენ გაიძვერა ვაჭრუკანები თუ დღემოსელითა აგენტები და არა ამბოხებული მოსახლეობა.

ქაიხოსრო ქართველ შინდართა თანხლებით სწრაფად მიეშურებოდა ირანის სატახტო ქალაქსაკენ. დრო არ ითმენდა, გზა კი ძალიან გრძელი იყო. ხუმრობა საქმეა, მანძილი მასთაიდან ისპაანამდე თითქმის ათასი კილომეტრია!

„ვიარეთ ორმოცისა დღისა სავალი თორმეტს დღეს, — მოგვითხრობს სენხია ჩხეიძე, — რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სისხარული დიდი“.

ისპაანში კარგად იცნობდნენ ქაიხოსროს და მასწინვე იმედი მიეცათ, რამე გვეშველებოდა.

ქართველი ისტორიკოსი უღმობელი ნატურალიზმით აღწერს ტარულას ბრძანებით ჩატარებულ რეპრესიებს. როგორც ჩანს, ქართველ ბატონიშვილს გუმანმა არ უმტყუნა.

„მეორეს დღეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ხვარბლით აივსო, — განაგრძობს სენხია ჩხეიძე, — შეიქნა ისპაანში სიმშვიდე და იეფობა“.

ახე გონივრულად ჩააქრო ამბოხება ქაიხოსრომ და ისპაანის ღარიბ-ღატაკნი „ლოცვიდენ შიშვილის მორჩინისათვის“ ქალაქის ქართველ ტარულას. ხალხის მაღლობასთან ერთად მან შაჰის ჯილდოც დაიმსახურა — ათასი თუმანი.

მაგრამ საბოლოოდ არც ქაიხოსროს დაუფასეს ამაგი ვერაგმა ყიზილბაშებმა, ისევე როგორც გიორგი XI-ს მათი დადღუვა სამეფო კარის კისერზე. ქართველი ხალხის მოსიხსლე მტრები ზერ ურთავდებოდნენ სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზე ქართველი მეფე-ბატონიშვილების აღზევებას. „შურობდნენ ამას ყიზილბაშნი“ — წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურა ეპიზოდს გადმოგვცემს ფრანგი მოგზაური შარდენი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მოქმედება მიმდინარეობს ორმოციოდ წლით ადრე (შაჰ-სულეიმანის დროს), ხოლო ქაიხოსროს მაგივრად ვხედავთ სამეფო კარის ერთ „პევიან და ენერგიულ პირსენებას“, რომელსაც ახევე დაუსტია შიშვილის გამომწვევი. ბოროტმოქმედნი და ასევე მეორე დღეს პურის ფასი შესამჩნევად შემცირებულა და სიმშვიდეც აღდგენილა ისპაანში.

შარდენი წერს, რომ ხსენებული დიდებულის მოქმედება მიბძვის ღირსია ევროპელთათვის, იქაურ ქალაქებში მსგავსი ვითარების დროს. გამოჩენილი ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის ეს კომპლიმენტი თამამად შეგვიძლია მივუძღვნათ ქართველ ბატონიშვილსაც.

დ. ხუნარაძე



ბორის სპასკი



# ჩეხოსლოვაკია და სპასკი



რობერტ ფიშერ

ძნელია დასახელოთ მეორე საჭადრაკო შეჯიბრება. ესოდენი ინტერესი რომ გამოეწვიოს. ზომ უაღრესად მძაფრი იყო ბოტვინიკ-სმისლოვის, ბოტვინიკ-ტალის, ბოტვინიკ-პეტროსიანისა და პეტროსიან-სპასკის მატჩები. ისინიც დიდად აღელვებდნენ ჭადრაკის საზოგადოებას. მილიონობით გულშემატკივრები ისევ არ იძინებდნენ, სანამ მსოფლიო პირველობაზე მატჩის ახალ ამბებს არ მოისმენდნენ. მაგრამ ამ შეჯიბრებებს სპორტული სამყარო მანც საბჭოთა მოჭადრაკეების შინაურ საქმედ თვლიდა; ახლა სხვა ამბავია. 1948 წლიდან მოყოლებული, პირველად „აიმაღლა ხმა“ უცხოელმა. ვინ აღარ აპირებს დღეისათვის სპასკი-ფიშერის მატჩის ჩატარებას. რითი ვიცნობდით ზრახილიას? უავიფა და ფუხბურთით. და აი ასეთმა ქვეყანამ შეტოქებს „ოქროს გორბი“ ალუთქვა, თუკი ამ ქვეყანაში ითამაშებენ; არგენტინაში გაიხსენეს, რომ 1927 წელს სწორედ აქ გაიმართა იმდროინდელი ტიტანების — მოსე რაულ კაბალანკასა და ალექსანდრე ალიოზინის შეხვედრა, და რომ ფიშერი არ გაჭირვებულულიყო, არგენტინის პრეზიდენტმა ალფონსო ლანუსემ კარგა ხნით ადრე დაიჭირა თადარიგი: იგი რესპუბლიკის უმაღ-

ლესი ჩილდოთი — „მ მათის“ ორდენით დააჯილდოვა. თავი გამოიღო ევროპის ბევრმა ქვეყანამ. ერთი სიტყვით, საჭადრაკო სამყაროს პირზე აკერია — სპასკი და ფიშერი, ფიშერი და სპასკი...

## 1. ახლოს დანახული სპასკი

ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა ახლოს გაეცნობოდა სპასკის, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 18 წლის ყმაწვილი ოსტატობის კანდიდატის საკმაოდ მოკრძალებულ სპორტულ წოდებას ატარებდა. ამის მიუხედავად, სპასკის ნიჭიერება მაშინ საქვეყნოდ აღიარებული ფაქტი იყო.

რკინიგზელთა ცენტრალური სახლი მოსკოვში მოჭადრაკეთა საუვარელი ადგილი გახლავთ. ამიტომ ზოგი უურნალებსტი ხუმრობდა კიდევ, ამ შენობას მოჭადრაკეთა ცენტრალური სახლი რომ დავარქვათ, აჭობებსო; და აი სწორედ ამ სახლში, 1948 წელს მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობა გაიმართა; ეს ის დრო იყო, როდესაც ჭაბუკებს შორის გამოსვლა შეწყვიტეს პეტროსიანმა და კორჩნოიმ; უურნალებისტები კი ბევრს წერდნენ ახალი ტალანტების დაწინაურებაზე. მათ შორის ასახელებდნენ 18 წლის ლენინგრადელ ბორის სპასკისაც. როდესაც ლენინგრადის გუნდი ბრძოლაში ჩაება, მის მწვრთნელს ცნობილ სპეციალისტს ვლადიმერ ზაეს ვკითხე: „თქვენთან პირველ დაფაზე ანატოლ ლუტიკოვი პარტიას პარტიაზე იგებს. მეორე დაფაზე ბორის სპასკის შედეგები შედარებით უარესია. რას იტყვით თქვენი მოსწავლეების ამ ორი ლიდერის შესახებ?“ ზაემა მიპასუხა: „შესაძლოა, დღეისათვის ლუტიკოვი რამდენადმე უფრო ძლიერია. მაგრამ გაივლის სულ მცირე ხანი და ბორისი შორს ჩამოიტოვებს შეტოქეს“. ეს მალე მართლაც ასე მოხდა.

ყმაწვილ სპასკის ერთ რამეს ემდუროდნენ. ახალგაზრდებს სჩვევიათ ღია, კომბინაციური თამაში. ისინი არას დაგიდევენ პაიებს და ზშირად ფიგურებსაც კი, ოღონდ მთავარ მიზანს მიაღწიონ — შეტოქის მეფე დაატყვეონ. ერთი სიტყვით, ჭაბუკი მოჭადრაკეები თავისებური რომანტიკოსები არიან, მათი მიდრეკილება არეულ-დარეულობისადმი, შეხლა-შემოხლისადმი სავსებით ბუნებრივია და გასაგებია.

უფრო უჩვეულო და ძნელად გასაგები ის იყო, რომ ჭაბუკი სპასკი სულ სხვანაირად თამაშობდა. იგი თანახმა იყო საათობით მოთმინებით ებრძოლა, ოღონდ კი შეტოქის რომელიმე პაიკი დაესუსტებინა. დიხ, დიხ, მოეგო კი არა, დაესუსტებინა. ჭაბუკი მოჭადრაკე მცირე მიზნებს ისახავდა —

რაც შეეძლო მალე ჩაეჭრო ხანძარი, რომელსაც დაფაზე შეტოქეები ანთებდნენ. ამასობაში მოწინააღმდეგე სადღაც გაუფრთხილებლად მოიქცეოდა, სადმე უყურადღებოდ მიატოვებდა რომელიმე პაიკს. სპასკისაც ეს უნდოდა; მალე ირკვეოდა, რომ შეტოქის იერიშიდან არაფერი გამოვიდა, მისი ფიგურების განლაგება კი საკმაოდ დასუსტდა. „სპასკის საათიც“ სწორედ ამ დროს დგებოდა და იგი „მოსავლის აღებას“ იწყებდა.

ასეთი თამაში ჭაბუკ მოჭადრაკეს კი არა, უფრო მსოფლიო ოსტატს შეეფერებოდა; მიმოხილვები სწორად შენისნავდნენ, რომ შეიძლება ასეთი მანერით სპასკის დღეს ორიოდე ქულით შეტი მოეგროვებინა, მაგრამ შემდეგ მისი შემოქმედებითი ზრდა მკვეთრად დამუხრუჭდებოდა.

და სწორედ მანამდე, სანამ ჭაბუკი სპასკი ქულეებისადმი ასეთი გამოდევნებისათვის დაისჩებოდა, მას ბედმა გაუღიმა. იგი ახალი მასწავლებლის, დიდოსტატ ალექსანდრე ტოლუშის ხელში აღმოჩნ-

მთაწმინდაზე





და. შეტევაში და კომბინაციაში შეყვარებულმა ტოლუშმა თავისი მოწაფე ერთი მაგრად დატუქსა და შისი სტილის შეცვლას შეუდგა. ამასთან ტოლუშმა მიმომხილველებს განუმარტა, რომ საგანგაშო არაფერი იყო. მთავარი ის გახლდათ, რომ სპასკის დიდი საქადრაკო ნიჭი ჰქონდა, სტილის შეცვლა კი ყოველთვის შეიძლებოდა.

ერთ გამარჯვებას მეორე მოსდევდა „განახლებული“ ბორის სპასკი ავიწროებდა გამოცდილ ოსტატებს.

## 2. მსოფლიოს ჩემპიონი... ოღონდ ზაბუკთა შორის

1951 წლიდან საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციამ ორ წელიწადში ერთხელ ფრიად ხაინტურესო შეჯიბრებების ჩატარება დაიწყო; ეს გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონატი კაბუკთა შორის. პირველი ასეთი ჩემპიონი გახდა იუგოსლავიელი ბორისლავ ივკოვი, რომელიც შემდეგში მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა რიგებში დაწინაურდა. ორი წლის შემდეგ ეს წოდება არგენტინელმა ოსკარ პანომ დაისაკუთრა. გავიდა კიდევ ორი წელი, მსოფლიოს მესამე ჩემპიონი კაბუკთა შორის გახდა ბორის სპასკი. მცირე შესვენების შემდეგ იგი უკვე მეორე და უმთავრეს, მსოფლიო ჩემპიონობის შესარჩევ ტურნირში — ე. წ. საზონათშორისო შეჯიბრებაში ჩაება. ვეტებორგში მან არა მარტო უმაღლესი საქადრაკო წოდება — დიდოსტატობა მოიპოვა, არამედ მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტაც გახდა. 19 წლის კაბუკი, მ დანარჩენ დიდოსტატთან ერთად, მიხილ ბოტვინიკის ოფიციალურ მტკაქედ ჩაითვალა.

როდესაც 1956 წელს ამსტერდამში 10 პრეტენდენტი შეიკრიბა, ბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა. პირველი ადგილი სმისლოვს დარჩა, მაგრამ სპასკის მიღწევაც ბრწყინვალე იყო, მან 8-7 ადგილები გაინაწილა.

ვინ იფიქრებდა, რომ „მაღალ საზოგადოებაში“ ესოდენ შესანიშნავი დებიუტის შემდეგ, სპასკი „მკვეთრად დათმობდა“ და კარგა ხნით გადადებდა მსოფლიო ჩემპიონობისათვის ოცნებას. დიხ, 1959 წელს, იუგოსლავიაში გამართული პრეტენდენტების ტურნირი უკვე სპასკის ვარსებ ჩატარდა, იგი არ იყო 1962 წელს კურსხაში. რატომ?

უდიდესი საქადრაკო ნიჭი, რა თქმა უნდა, ბევრს



— ეს სულ ქართული ღვინის ჯილდოებია!

მცხეთაში



ნიშნავს, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონობის წოდების მოტანა; ნიჭთან ერთად საჭიროა დიდი გამძლეობა, რკინისებური ნერვები, თავდადებული მუშაობა. ალიოხინს ხომ, როგორც იტყვიან, „ღვთისგან მომადლებული“ ნიჭი ჰქონდა, მაგრამ საქმარისი იყო შეესუსტებინა მუშაობა, რომ მისი შედეგები ქვეითდებოდა. გავიხსენოთ 1955 წელი, როდესაც ალიოხინი მხოლოდ იმიტომ გამოეთხოვა მსოფლიოს ჩემპიონობას, რომ სმის მიჰყო ხელი. არა, სპასკის სმა არ დაუწყია, მაგრამ ცოტა ხანს „ძველი პროცენტების“ ხარჯზე მოიხურვა ცხოვრება: ზოგჯერ არასაკმარისი გულმოადინებით სწავლობდა თეორიის უკანასკნელ მიღწევებს, ზოგჯერ ყურადღებას არ უთმობდა ფსიქოლოგიურ მომზადებას. 1958 წელს საკავშირო ჩემპიონატში, ყაიშის ნაცვლად, ტალთან ნოლი მიიღო. ეს კი მსოფლიო პირველობისათვის შესარჩევი შეჯიბრება იყო. სამი წლის შემდეგ, ანალოგიურ შეჯიბრებაში, თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში სპასკის შტინმა მოუგო.

წლები გადიოდა. სატირიკოსმა პოეტმა ევგენი ილიინმა სპასკიზე დაწერა: „ცხოვრებაში ერთხელ არის 18 წელი“.


## 3. გადაწყვეტი შეტევა

სპასკის ყოველთვის ბედი სწყალობდა — გადამწყვეტი მომენტში სწორედ ძვირფას პედაგოგებს გა-

დაეყრებოდა ხოლმე. ხომ ბევრი რამ მისცა მას აღექვანდრე ტოლუშმა, რომლის „ფიგურები უკან არ იხედნენ.“ ტოლუში ღრმა სტრატეგმა და ასეთივე უსიქოლოგმა — იგორ ბონდარევსკიმ შეცვალა, რომელმაც ახალგაზრდა დიდოსტატს პირდაპირ ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

უმთავრესი, რასაც სპასკიმ მიღწია, ბონდარევსკისთან ერთად, ეს იყო თავისებური „ჭაფშინის“, იმუნიტეტის შემუშავება. თუ აღრე წაგება სპასკისათვის მთელი ტრაგედია იყო, რომელსაც „ჭაფვისებური რეაქცია“, ახალი წაგებები მოჰყვებოდა ხოლმე, ახლა მდგომარეობა შეიცვალა, ახლანდელი წაგება მხოლოდ და მხოლოდ უსიამოვნო ეპიზოდი გახლდათ, რომელიც მტრად აღაგზნებდა სპასკის, ზიძესაც კი აძლევდა ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად; ამ პერიოდში სპასკი ყაიშების მტერი გახდა. „ორი ყაიში — ერთ გამარჯვებას უდრის“ — იტყოდა ხოლმე „დიდი შვიდობისმოყვარეობით“ განთქმული ფლორი. „დიხ, მაგრამ ორი ყაიში ერთ დამარცხებასაც უდრის“ — შეეძლო მიეგო აგრესიულ სპასკის.

და აი, 1968 წლიდან მოყოლებული, სპასკი თანმიმდევრულად ხდლევს ყველა ჭებირს და ჭიქურ მიიწევს მსოფლიოს ჩემპიონობისაკენ. საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი, საკავშირო ჩემპიონატის ფინალი, ზონალური ტურნირი, საზონათშორისო ტურნირი — ამ ოთხი საფეხურის დაძლევა გახდა საჭირო პრეტენდენტთა ასპარეზობაში სათამაშოდ.



მცხეთა. კერამიკულ კომბინატში

კერისა და გელერის დამარცხების შემდეგ რჩე-  
ბოდა კიდევ ერთი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონამდე:  
იგი „რიგელი ჯადოქარი“ ტალი გახლდათ.

რა დამაინტერესებს სპასკი-ტალის მატჩს იგი ხომ  
ჩვენს დედაქალაქში გაიმართა. ამასთან, მთელი  
თბილისი ტალის მხარეზე იყო. ეს სპასკისთვის  
თავიდანვე ნათელი იყო, რომელიც ცხადია, ნანობ-  
და კიდევ, რომ თბილისში თამაშის თანხმობა მის-  
ცა. ერთადერთი, რაც ამ მძიმე წუთებში სპასკის  
ამხნევედა, გახლდათ ის, რომ ანგარიშში წინ იყო.  
ამასთან, სპასკიმ აღმოაჩინა, რომ ზოგი გულშე-  
მატკივარი აქაც მყოფია. ერთხელ მატჩისადმი მიძ-  
ღვნილი სპეციალური ბიულეტენის რედაქტორმა  
დამავალა სასტუმრო „თბილისში“ მივსულიყავი.  
რათა სპასკისა და ბონდარეცკისათვის პარტიის  
კომენტარი გამოემართა. „ბოლოში, ხომ ვერ გვა-  
წავლით, სად ცხოვრობს სპასკი“ — მიმართეს სარ-  
თულის მორიგეს ქალიშვილებმა. ისინი ჩემი ნაც-  
ნობები აღმოჩნდნენ: ლამაზა გოგლირიძე და მათა  
წულუკიძე. როდესაც გამოვეხმაურე, აღმოჩნდა,  
რომ ქალიშვილებს სპასკისათვის მურაბა მოუტანი-  
ათ. ისინი არ ეთანხმებოდნენ „მთელ თბილისს“,  
რომელიც ტალის მხარეზე გამოდიოდა. ის მურაბა  
სპასკის დღესაც ახსოვს, ხოლო როცა მინდა მსოფ-  
ლიოს ჩემპიონის შესახებ რაიმე შევიტყო, მაშინ  
თბილისელ კორესპონდენტებთან — ლამაზა გო-  
ლირიძესა და მათა წულუკიძესთან მივდივარ.

ტალის დამარცხების შემდეგ სპასკიმ ვერ შეძლო  
1968 წელს მსოფლიოს ჩემპიონის — პეტროსიანის  
ძლევა. თუ ადრინდელი, ფსიქოლოგიურად არა-  
საკმარისად მტკიცე სპასკი ამის შემდეგ ჰადრატე  
ხელს ჩაიკნედა, „ახლანდელმა სპასკიმ“ უბრა-  
ლოდ ჩათვალა, რომ პირველი ცდა მარცხით დამ-  
თავრდა და მეორე ცდისათვის მოემზადა.

ეს მეორე ცდა უკანასკნელიც აღმოჩნდა. ზედი-  
ზედ, ბრწყინვალე სტილით დაამარცხა გელერი  
(ისევ გელერი), ლარსენი, კორჩნოი და, რაც მთა-  
ვარია, 1969 წელს, მსოფლიოს პირველობის მატჩ-  
ში, პეტროსიანის.

ბორის სპასკი მსოფლიოს მეთექვსმეტი ჩემპიონი გახდა.

#### 4. ზრუპლინელი ჭაბუკი

დღისათვის ახლგაზრდა ამერიკელ დიდოს-  
ტატს არაერთი წიგნი მიეძღვნა: ბიოგრაფიული ნა-  
შრომები, პარტიების კრებულები. ასეთებია ბრედ-  
ლის „გუნდერკინდის პორტრეტი“, კრამერისა და  
ტორგესის „ჰადრატის ფენომენი რობერტ ფიშერ-  
ი“, ტრიფუნოვიჩისა და ბელიცის „ფიშერი კარბი-  
ტესთანა“. გამოვიდა ფიშერისადმი მიძღვნილი  
წიგნი 40-ტომიან „ჰადრატის მსოფლიო ისტორია-  
ში“, რომელსაც ჰამბურგში აქვეყნებს დოქტორი  
ვილჰელმენი. ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სა-  
ყურადღებო მაინც თვით ფიშერის წიგნია „ჩემი  
80 სამახსოვრო პარტია“.

ყველა ეს ბიოგრაფი თუ კომენტატორი თით-  
ქმის არაფერს ლამაზაკობს ფიშერის მამაზე. ცნო-  
ბილია მხოლოდ, რომ ფიშერის გერმანულ ფიშე-

რი ამერიკის შერტებულ შტატებში გერმანიიდან  
ჩავიდა. მომავალი დიდოსტატი სულ ორი წლისა  
იყო, როცა მის მშობლებს უთანხმოება მოუვი-  
დათ. მამა სადღაც გაქრა და დღემდე არავინ იცის,  
ცოცხალია თუ არა იგი.

დედა, რეგინა ვენდერი კარგა ხანს მასწავლებ-  
ლობდა, შემდეგ სათანადო გამოცდები ჩააბარა და  
მოწყალეობის და გახდა. თუმცა ბოძი ჩიკაგოში და-  
ინადა, მაგრამ ბავშვობა ძირითადად ნიუ-იორკში  
გატარა. დედა მუშაობდა სახლში გვიან ბრუნ-  
დებოდა. ბოძის უფროსი კონი უფლიდა, რო-  
მელიც მასზე წლით დიდია. წორედ ჰთანმა ითა-  
მაშა გადამწყვეტი როლი ბოძის ცხოვრებაში —  
ჰადრაკი ასწავლა. ამ დროიდან მოყოლებული პა-  
ტარა ბოძი მთელ თავის დროს ჰადრაკის დაფას-  
თან ატარებდა. ეს იყო საოცარი სიყვარული:  
ბავშვს არ ხიზლავდა არც ერთი სხვა თამაში. მან  
მხოლოდ ორი რამ იცოდა: ჰადრაკის დაფა და სა-  
ჰადრაკო წიგნები. რაც შეეხება საშუალო სკოლას,  
ბოძი გაკეთილებს ხშირად აცდენდა და არც და-  
უშობავრებია სასწავლებელი. არა, ისე არ იფიქ-  
როთ, თითქმის მომავალი დიდოსტატი მთლად უს-  
წავლელი დარჩა. ჰადრაკის დასაუფლებლად სპი-  
რო იყო მრავალრიცხოვანი წიგნებისა და უფრანლე-  
ბის კითხვა. ჰებუკი ფიშერი ძალიან მალე დარწ-  
მუნდა, რომ მარტო ინგლისური ენით ფონს ვერ  
გავიღოდა. ამიტომ მან უცხო ენებიდან ჰერ რუსუ-  
ლი ისწავლა, რათა საბჭოთა საჰადრაკო ლიტერა-  
ტურა ეკითხა. ვინც თვალს გადაავლებს ფიშერის  
წიგნს „ჩემი 80 სამახსოვრო პარტია“, დარწმუნდ-  
ება, რომ იგი წლების განმავლობაში გულმოდგინედ  
სწავლობდა საბჭოთა პერიოდის, საბჭოთა კავ-  
შირში გამოცემულ წიგნებს; იმასთან დაკავშირ-  
ებით, რომ არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამო-  
დის იუგოსლავიაში და არგენტინაში, ფიშერმა ის-  
წავლა სერბულ-ხორვატული და ესპანური ენე-  
ბიც. ოთხი ენა კი სავსებით საკმარისი იყო საჰად-  
რაკო ლიტერატურისათვის თვალყურის სადევნებ-  
ლად.

ჰებუკმა ფიშერმა მალე გააწირო ამერიკის შერ-  
ტებულ შტატების ყველა წამყვან მოჰადრაკეს.  
რჩებოდა ამ ჰევენის უძლიერესი დიდოსტატი სე-  
მიუელ რემევესკი, მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-  
ერთი პრეტენდენტი. უნდა აღინიშნოს ის უაღრ-  
ესად მტრული პოზიცია, რომელიც ვეტერანმა და-  
იკირა ახლგაზრდა მოჰადრაკის მიმართ; რა თქმა  
უნდა, ასეთი კვალიფიკაციისა და გამოცდილების  
დიდოსტატს არ შეეძლო არ შეეცნო ფიშერის დი-  
დი ნიჭი, მაგრამ უფრანლისტებს მაინც განუცხადა:  
„ბოხისაგან არაფერი გამოვა“.

1958 წლიდან, როდესაც ფიშერმა სისტემატურად  
დაიწყო ჰევენის ჩემპიონატებში გამარჯვება, მისი  
და რემევესკის ურთიერთობა უფრო გაუარესდა.  
ამერიკიდან ყველა ტურნირის წინ რემევესკი ერთ  
ამოცანას ისახავდა — ფიშერისათვის გაეწირო.  
ისახავდა, მაგრამ თითქმის ვერასოდეს ახერხებდა.  
ერთხელ, როდესაც რემევესკი და ფიშერი ბუენოს-  
აირესში ჩაფრინდნენ დიდ საერთაშორისო ტურ-  
ნირში სათამაშოდ, უკვე აეროდრომზე უფრანლის-  
ტეჰ რემევესკის მკითხეს: „რომელი ადგილის და-  
კავება გინდათ? პასუხი მოულოდნელი იყო: „თუნ-  
დაც უკანასკნელის წინა ადგილზე დავთანხმდები,  
თუ ფიშერი ბოლოზე გამოვა“. სანტერესოა აღი-  
ნიშნოს, რომ რემევესკიმ მხოლოდ ამ შეჭიბრებაში  
შეძლო მიეღწია მიზნისათვის. მან მართლაც გაუს-  
წირო ფიშერს, თუმცა ყველა სხვა შეჭიბრებაში  
ახლგაზრდა მოჰადრაკე, როგორც წესი, მასზე  
უკეთეს ადგილზე გამოდიოდა.

15 წლის ფიშერი დიდოსტატი გახდა, 16 წლის  
ასაკში პირველად მონაწილეობდა მსოფლიოს პირ-  
ველობის პრეტენდენტთა ტურნირში. დიდი წარ-  
მატებების მიუხედავად, განდევნილია ცხოვრებამ,  
ამერიკელ მოჰადრაკეთა დიდი ნაწილის მტრულმა  
დამოკიდებულებამ ფიშერი სულ უფრო და უფ-  
რო პირქუში და ექვიანი გახდა. 1962 წელს, კუ-  
რასაოში, პრეტენდენტთა ტურნირის შემდეგ, ფი-  
შერმა განაცხადა: „საბჭოთა მოჰადრაკეებმა ჩემს


წინააღმდეგ შეტქმულება მოაწყეს, ერთმანეთთან  
ყამებს აკეთებდნენ და ამიტომ მსოფლიოს პირ-  
ველობაზე არასოდეს ვითამაშებო“. ამ შეტქმულე-  
ბის არავის სჭიროდა, თვით ფიშერის მეგობარს  
რ. ბირნსაც კი. ბ. სპასკიმ, რომელიც ამ შეჭიბრე-  
ბაში არ მონაწილეობდა, თქვა: თუ საბჭოთა მო-  
ჰადრაკეები ერთმანეთთან ყამის აკეთებდნენ, რა  
უნდა ჰქონოდა ამის საწინააღმდეგო ფიშერს! ეს  
ხომ მხოლოდ აადვლებდა მის ამოცანას“.

#### 5. „როგორ ისწავლით თამაში?“

მას შემდეგ, რაც ფიშერი მსოფლიოს ერთ-ერთი  
უძლიერესი მოჰადრაკე გახდა, მასთან მოუხშირეს  
სხვადასხვა ჰევენის უფრანლისტებმა. ფიშერს წე-  
სად აქვს შემოღებული, მხოლოდ იმ უფრანლის-  
ტებს მოუხმინოს, რომლებიც კარგი მოჰადრაკე-  
ებიც არიან. როდესაც მას ეკითხებიან: „როგორ  
ისწავლით თამაში?“ ფიშერი უპასუხებს: „წავიკი-  
თხე ყველა წიგნი, რომელიც ჰადრაკისადმი მიძ-  
ღვნილი. დავიმახსოვრე ყველაფერი საუკეთესო  
და თამაშშიც ამრიგად ვისწავლე“. დიდოსტატი მა-  
ინცდამაინც როდი აპარხებს. მას მართლაც არა-  
ჩვეულებრივი მეხსიერება აქვს. ფიშერმა შეპირად  
იცის არა მარტო ყველა თავისი პარტია, რა დრო-  
საც არ უნდა იყოს ის ნათამაშევი, არამედ სხვა  
წამყვანი დიდოსტატების შეხვედრებიც. 1971 წელს,  
ვანკუვერში (კანადა) ფიშერი ძალიან დაუმეგობრ-  
და ახლგაზრდა საბჭოთა დიდოსტატს იური ბალა-  
შოვს და აი რატომ: ბალაშოვი მსოფლიოს ფიჭულ-  
ტურის ინსტიტუტში სწავლობს, მან თავის სადიპ-  
ლომომ თემად ფიშერის შემოქმედება აირჩია, მო-  
კლე ხანში თავი მოუყარა მის 400 პარტიას, გარ-  
ჩია და შენიშვნები დაურთო. გასაგებია, ბალაშოვის  
დახმარება სთხოვა ტაიმანოვმა, რომელიც ფიშერ-  
თან შესახვედრად ემზადებოდა; და როდესაც ვან-  
კუვერში ფიშერ-ტაიმანოვის მატჩი მიმდინარეობ-  
და, ამერიკელ დიდოსტატს უყვარდა ბალაშოვთან  
საუბარი „ამ ახლგაზრდამ (ბალაშოვი ფიშერზე მ  
წლით უმცროსია) შეპირად იცის ჩემი ყველა პარ-  
ტია“ — სიამაყით ამბობდა ბოძი. ზოგჯერ იგი  
ხუმრობით გამოცდას უწყობდა კიდევ ბალაშოვს:  
„აბა, როგორ ვითამაშე ამა და ამ მეტოქესთან?“  
ბალაშოვიც არასოდეს შემცდარა.

როგორც მოსკოვში მყოფმა ამერიკელმა დი-  
დოსტატმა რობერტ ბირნმა განაცხადა, ფიშერი იცავს  
ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ რეჟიმს. საერ-  
თოდ არ იცის, რა არის ალკოჰოლიანი სასმელი და

ლენის ბიბლიოთეკაში  
(თბილისის ლენის პირველ ქარხანაში)



# ა ბ ა ნ ო

## იუმორისტული მოთხრობა

არა უშავს, აბანოები გვაქვს, დაიბანს კაცი ტანს, მაგრამ ეგ არის — საციდლის ნომრები აწყალბებს გულს. მაგალითად, წინა შაბათს რომ გახლდით აბანოში, ორი ნომერი მომაჩვენეს: ერთი საცულბისა, მეორე პალტოსი და ქუ-

დის. ტიტველმა კაცმა კი სად ჩანდაში წაიღოს ეს ნომრები, რა მოუხერხოს? გულახდილად ვთქვათ — ვერაფერსაც ვერ მოუხერხებს: ტანზე ჯიბეები არ აქვს, მუცელიც შიშველი აქვს და ფეხებიც; წვერ-ულვაშზე მიხმაც ეუხერხულება. ხათაბალა პირდაპირ!

რა მექნა, ჩაიბი ფეხებზე ნომრები, ერთი მარჯვენაზე, მეორე მარცხენაზე, ორივე ერთად არ დაეკარგო-მეთქი, და აბანოში შევედი. შევედი, მაგრამ რაღა შევედი, ტყაპა-ტუტუბი გაუღის ფეხებზე ნომრებს. სიარულის ხალისიც წამერთვა. არა და, სიარული საჭიროა. ტაშტი ხომ უნდა მოძებნო. უტაშტოდ, აბა, რას დაიბან! გამოვირდა საქმე.

ვეძებ ტაშტს. ვხედავ, ერთი მოქალაქე სამი ტაშტით ბანაობს. ერთში ფეხებით ჩამდგარა, მეორეში გოგრას იქაფავს, მესამისათვის კიდევ მარცხენა ხელი ჩაუვლია, არავინ წამართვასო.

წავეტანე იმ მესამე ტაშტს, ვიფიქრე, ამით მაინც დავიბან-მეთქი, მოქალაქე კი არ მანებებს.

— შენ რაო, მეუბნება, სხვის ტაშტს რას ეპოტინებო? თუ გვერთხე ეს ტაშტი მაგ თვალბში, მერე ნახავო.

— ტაშტს მფერთხავ რა, ნიკოლოზის დრო ხომ არ გგონია-მეთქი. ეს რა ეგოისტობაა, სხვებსაც ხომ უნდა დაბანა, თეატრში ხომ არა ვართ-მეთქი.

შემაქცია ზურგი და იბანს. ვიფიქრე: რა ტყუა აქვს, ახლა, ამის თავზე დადგომას, ჩემს ჯიბრზე სამ დღესაც არ მორჩება ბანაობას-მეთქი და შევეწვი.

გავიდა ერთი საათი. ვხედავ, ვიღაც ტიპმა ეშხიანად დაამთქნარა და ტაშტი ხელიდან გაავდო. არ ვიცი, საბნის ასაღებად დაიხარა, თუ ოცნებებმა გაიტაცა. ვიცი, რომ მისი ტაშტი მე დამჩრა.

ახლა ტაშტი კი მაქვს, მაგრამ დაჯდომა არ გინდა? თქვენც არ მომიკვდეთ, დასაჯდომი ადგილი არ იყოს! დგომელა ბანაობა კიდევ, რა ბანაობა! გავწვალდი, მაგრამ რა გავწვალდი.

ჯანდაბას-მეთქი, ვთქვი, ფეხზე მდგარმა ტაშტი ხელში დავიჭირე და ვიბან, ჩემი ტყუით. აქეთ-იქით კი გახურებული ხეხვა-რეცხვა: ერთი შარავალს ირეც-

ხავს, მეორე ქვედა საცვალს, მესამე კიდევ — რალაცა წურავს. ისეთი ხმაურია, ბანაობის ხალისი აღარც მაქვს. იმასაც ვეღარ ვგრძნობ, საპონს რაზე ვისვამ. საცოდავ დღეში ჩავვარდი.

ემშაკასაც წაუღიხართ, შინ მოვათავებ ბანაობას-მეთქი, გავიფიქრე, და აბანოს წინა ოთახში გავედი. გავუწოდე ნომერი — გამომიწოდეს საცულბები და ბლუზა-შარვალი. ვხედავ, უცვლაფერი ჩემია, შარვალი არ არის ჩემი.

— ხალხო, — ვეუბნები მათ, — ჩემი შარვალი აი ამ ადგილას იყო გახურებული, ეს კი ე, სად არის-მეთქი.

მეაბანოე მეუბნება:

— ჩვენ რა, ნახვრეტებს კი არ ვყარაულობთ აქ, თეატრში ხომ არ გგონია თავიო.

ჯანი გავარდეს-მეთქი, გავიფიქრე, ის შარვალი ჩავიცვი და პალტოს ასაღებად გავეშურე. არ იძლევიან პალტოს, ნომერს ითხოვენ. ნომერი კი ფეხზე დამჩრა ჩაბმული. უნდა გავიხადო, სხვა რა გზაა. ჩავიძვრე შარვალი, ვეძებ ნომერს. გავიგონიათ! სადღაა ნომერი. თოკი ფეხზე შემჩრჩენია, ქალაღის ნომერი კი აღარაა, ჩაუტრეცხავს წყალს.

ვაწოდებ მეაბანოეს თოკს, ხელსაც არ კიდებს.

— თოკში პალტოს არ ვიძლევიო, — მეუბნება, — აგრე რომ იყოს, ყველა მოიტანდა მაგისთანა თოკს და ამდენი პალტო საიდან დავხატოო. მოითმინეთო, — თქვა ბოლოს, — წავა ხალხი და რომელი პალტოც დარჩება, იმას მოვცემთო.

— ეგ როგორ, ძმობილო, იქნებ სულაც ძველმანი დარჩეს, აბანოა, თეატრი ხომ არ არის-მეთქი. კარგი, ნიშნებს დავისახლებ და მაშინ მაინც მომიტყე-მეთქი: ერთი ჯიბე დახეული აქვს, მეორე სულაც არ აქვია. ლილებს რაც შეეხება ზემოთ აქვია, ქვემოთ არ უნდა ჰქონდეს-მეთქი.

ბოლოს და ბოლოს, მომცა. ისე, რომ თოკიც არ გამოუტრეცხვია.

ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. უცებ გამახსენდა, საპონი რომ დამჩრა აბანოში.

ისევ მივბრუნდი. რად გინდა მერე, პალტოთი არ მაშეუბნე.

— მესამედ ვახდა აღარ შემიძლია, ხალხო, თეატრი ხომ არ არის-ლა, თუ არ შემიშვებთ საბნის ფული მაინც მომიცეთ-მეოჭი.

არ იძლევიან.

არ იძლევიან და ნუ იძლევიან-მეთქი, წავედი უსაპონოდ.

ადვილი შესაძლებელია, მკითხველი დაინტერესდეს: რომელია ეგ აბანო.

სადაა, მისამართიც გვითხარითო.

რომელია? და ყველა აბანო, რომელშიც შესვლა ორი შაური ღირს.

1924 წ.

თარგმანი ვიწო ზარნაძემ.

თამბაქო. დღის განმავლობაში იგი ან საქადრაკო ლიტერატურას სწავლობს, ან ფიციურად იწრთობა. ფიციურ მომზადებას ფიჭერი მართლაც რომ დიდ ყურადღებას უთმობს. ბევრს დაღის, თითქმის ყოველდღე ცურავს, თამაშობს ფეხბურთს. ფიჭერს განსაკუთრებით შეუყვარდა ჩოგბურთი; როდესაც კადრაკში რომელიმე სერიოზულ მატჩს თამაშობს, წინასწარ ზრუნავს, რომ ამ ქალაქში იშყოფებოდეს მისი რომელიმე მუდმივი პარტიოროთაგანი ჩოგბურთში. როგორც კი გამოირკვა, რომ ფიჭერი სპასკისთან მატჩს ითამაშებდა, ამერიკელი-მა მაშინვე სთხოვა რობერტ ბირნს თან ხლებოდა, რათა ყოველდღე ეთამაშათ... ჩოგბურთი.

რომელიმე სერიოზულ მატჩის წინ ფიჭერი საგულდაგულოდ ემზადება. იგი შეკრებს ხოლმე მატჩის მიერ ნათამაშვე პარტიებს და ძალიან ხანგრძლივად სწავლობს მათ. რაც შეეხება მწვრთნელს, ფიჭერს არასოდეს ჰყოლია იგი. საქმე ისაა, რომ ფიჭერი დაეჩვია მარტოდაპირტო ანალიზს. თანდათანობით ამ ანალიზში ფრიად დახელოვდა. როგორც დიდოსტატი კოტოვი ვადმოგვცემს. ფიჭერის მატჩებთან სექუნდენტებს მრავალსაათიანი ანალიზის შემდეგ ფრიად ძნელი ვარიანტები მოუნახავთ, მაგრამ როდესაც პარტია განახლებულა, ფიჭერს სწორედ ეს უძლიერესი ვარიანტები აუჩრჩევია.

### 8. სანამ მატჩები იმზადებიან

სპასკიმ და ფიჭერმა მატჩისათვის მზადების სხვადასხვაანარი გეგმა აირჩიეს. სპასკი, რომელიც უკანასკნელ წლებში საქმოდ ცოტას თამაშობდა, პრაქტიკულად უკეთ წრთობის მიზნით, ალიოხინის მემორიალში ჩაება. ეს იყო უძლიერესი შემადგენლობის შეჭიხრება, 18 დიდოსტატის მონაწილეო-

ბით; რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონისაგან ყველა შეჯიბრებაში პირველ ადგილს იღიან, მაგრამ ახლა სპასკის სხვა მიზნები ჰქონდა. ფიჭერთან კარზე მომდგარი მატჩის გამო მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ადგილს კი არ გამოადევნებოდა, არამედ „უბრალოდ ეთამაშა“ სათანადო საბრძოლო ფორმის აღსადგენად. რა თქმა უნდა, სპასკის „არაფერი დაუხარჯავს“ იმ ვარიანტთაგან, რომელიც ფიჭერს მოუწავდა; ბევრი რამ საყურადღებო მზადდება მისი მწვრთნელების ლაბორატორიაში. თუ კონკრეტულად რა მიმართულებით სწარმოებდნენ ეს მუშაობა, ჭრჭერობით, ცხადია, საიდუმლოა. ბონდარეცკის ყურადღება ადრე ზოგჯერ ისეთ ვარიანტებზე შეჩერებულა, რომლებიც მატჩებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩენილან. გავიხსენოთ 1918 წლის მატჩი ტალთან; სპასკი შევებით სისტემატურად ირჩევდა ერთ-ერთ ვარიანტს ესპანურ პარტიაში, რომელსაც აგრესიულის რეპუტაცია ჰქონდა. ტალსაც რა უნდა ჰქონოდა საწინააღმდეგო ასეთ თამაშის დროს. მაგრამ სპასკი და ბონდარეცკი სხვანაირად მიუდგნენ ამ ვარიანტს. ისინი პაიკს სთმობდნენ და პარტია ენდშილში გადაჰყავდათ, სადაც იოლად აღწევდნენ უაიმს. ასეთ მატჩმორფოზს „რთელი ჯადოქარი“ აუქარად არ მოელოდა და ვერც მონახა სათანადო „გასაღები“; ტალის ხელში თეთრი ფიგურების ნეიტრალიზება კი დიდი მიღწევა იყო. ეტყობა, არაერთ ასეთ სიურპრიზს სპასკი-ფიჭერის მატჩშიც წააწყდებოთ.

რა ისმის ფიჭერის ბანაიდან? როდესაც მატჩროსიანი-ფიჭერის მატჩი დამთავრდა, ამერიკელი დიდოსტატი არგენტინაში დარჩა; როგორც ფიჭერს არაერთგზის განუცხადებია, მას არ უყვარს „ტუტუკიან და ხმაურთან ნიუ-იორკში ცხოვრება“, მით უმეტეს ზამთარში; ამიტომ მან არგენტინაში

ხანგრძლივი გასტროლები არჩია. მართალია, ბუნოს-აირესი (ესპანურად, „კარგი ჰაერი“) უკვე კარგა ხანია აღარ ამართლებს თავის სახელწოდებას; ამაში პირველ რიგში დამნაშავეა მილიონნახევარი ავტომანქანა... ქალაქის თავზე მუდმივად დგანან შავი ღრუბლები, „კარგი ჰაერისაგან“ აღარაფერი რჩება. ბუნოს-აირესიდან ფიჭერი პროვინციაში გაემგზავრა, შემდეგ კი ბრაზილიაში ჩავიდა; რიო-დე-ჟანეირო უკანასკნელი ქალაქი გახლდათ, სადაც ურტანლისტები და მიომბილდებლები კიდევ ხედავდნენ ფიჭერს. შემდეგ იგი გაქრა „გამორკვევდი მიმართულებით“. ეს ასეა, მაგრამ ამერიკის შერტებები შტატების საქადრაკო ფედერაციის მესვეურს ედმონდსონს სრულიადაც არ გაეცირებია პრეტენდენტის გაუჩინებობა. ასე ხდება ყოველთვის, როდესაც ფიჭერს რაიმე სერიოზული მატჩი მოეძღის. ამაზე სერიოზული შეჯიბრება კი რაღა უნდა იყოს!

შეიძლება წარმოვიდგინოთ, სად არის ახლა ფიჭერი. რომელიმე პატარა ქალაქში, მყუდრო სასტუმროში, განუყრელი ტელეფონით, რომელიც მას გარესამყაროსთან აკავშირებს, მთელ თავის დროს იგი სპასკის პარტიებს უთმობს. წიგნები სპასკის შესახებ ხომ უამრავია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმავე 40-ტომიან „ქადრაკის მსოფლიო ისტორიაში“, რომელზედაც ადრეც ვილაპარაკეთ, ამაწ წინათ სპასკისადმი მიძღვნილი ნაშრომიც გამოვიდა. თითქოს ფიჭერს სამუშაო გაუაღვიდესო, ამ წიგნის ავტორებმა თავი მოუქარეს სპასკის მან პარტიაში!

მაშ ასე, ჩემპიონი და პრეტენდენტი საგულდაგულოდ ემზადებიან. მათ მატჩამდე კი ბევრი აღარაფერი რჩება.

მეტი გამომავალი

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა


# მეზაიქა



**უგაღური შეყვარებული**

ცხრამეტი წლის კანადელმა ჯონ მაიერმა თავის მეგობარს სთხოვა, თუ გიყვარვარ, ტყვია დამახალე ფეხში, რომ ადგილობრივ საავადმყოფოში მოვხვდეთ. საქმე ის იყო, რომ ამ საავადმყოფოში მოწყალეების დად მუშაობდა ერთი ოქროსფერთმიანი ქალიშვილი, რომელიც ჯონ მაიერს გაცივებით უყვარდა.

როდესაც ტყვილებისაგან გამწარებული შეყვარებული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მიიყვანეს, გამოირკვა, რომ ოქროსფერთმიანი მოწყალეების და წინა დღით ბავშვთა განყოფილებაში გადაყვანათ სამუშაოდ.



**სტატისტიკამ უველაფერი იცის**

დასავლეთის სტატისტიკოსები იმასაც კი სთვლიან და ანგარიშობენ, თუ

რომელი განგსტერი უფრო სწრაფად პოათავენს ხოლმე თავის „ოპერაციას“. ასე, მაგალითად, მხოლოდ ოთხი წუთი დასჭირდა განგსტერების ბანდას, რომ საფრანგეთის ისტორიაში ფოსტის ყველაზე დიდი გაძარცვა მოეხდინათ. ამას წინათ მათ ქალაქ სტრასბურგის მთავარ ფოსტამტიდან 11.680.000 ფრანკი (2.120.000 დოლარი) გაიტაცეს.

ეს ფული 720.000 დოლარით მეტია იმ თანხაზე, რომელიც 1962 წელს ქალაქ პლიმუტში (ამერიკის შეერთებული შტატები) მოიპარეს საფოსტო მატარებლიდან.



**იტალიელი ბაიშვირები და იტალიური ტანკები**

იტალიის მსხვილი კომპანიის მონტეკატინი-ელდისონის ყოფილმა პრეზიდენტმა და მისმა თანაშემწეებმა მეტად იოლი გზა გამოიჩინეს ფულის გასაკეთებლად. მათ იტალიის არმიის ზღაპრულ ფასად — 4 მილიარდ 300 მილიონ ლირად მიჰყიდეს რადიოდანადგარები ტანკებისათვის. ეს რადიოდანადგარები კომპანიის მიერ ფართოდ იყო რეკლამირებული, როგორც ახალი ბრწყინვალე წარმატება რადიოტექნიკის სფეროში. მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ეს „ულტრათანამედროვე“ აპარატურა ფირმამ ჩალის ფასად შეიძინა ამერიკელებისაგან, რომლებმაც აღარც კი იცოდნენ, სად წაედოთ მეორე მსოფლიო ომიდან შემორჩენილი მოძველებული ტექნიკა.



**სისუფთავის მოყვარული პურლი**

მიუნხენის პოლიცია კარგა ხანია დაეძებს იდუმალებით მოცულ მძარცველს, რომლის განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებაც — ავადმყოფური სიყვარული სისუფთავისადმი. მძარცველი, სახლის გატეხის შემდეგ, იქვე, როგორც წესი, ხელებს იბანს საპნით და კბილებს იცხავს ჯაგრისით. ხშირად პირადი ჰიგიენის სხვა ადგილობრივ საშუალებებზეც იყენებს. მაგალითად, ბრიოლის იცხებს თმებზე, გაძარცველი ბინის მეპატრონის ელექტროსაპარსით იპარსავს პირს, ისწორებს უღვაშებს და ა. შ.


პოლიციის ცნობით, მძარცველმა დღემდე 68 ბინა გატეხა, (მათ შორის 14 ბინა — ერთ ღამეში). აღსანიშნავია ისიც, რომ ამდენი ღამის „ვიზიტების“ მიუხედავად, მძარცველს დღემდე ჯერ არც ერთი გაქურდული ბინის მფლობელი არ გამოუღვიძებია.



**შურისძიება**

სამგზის დაქორწინების შემდეგ, მდიდარ ამერიკელს ვულერ კალუს ცხოვრება ისეთ აუტანულ გოგონებთან გადაექცა, რომ ვაჟაყვირთა გასკოლა ამ ქვეყანას სასოწარკვეთილმა კაცმა საძინებელი ტაბლეტების სასიკვდილო დოზა მიიღო და სული განუტევა.

როდესაც ანდრძის ქალაქი გახსნეს, გამოირკვა, რომ თავისმკვლელმა პირველ კოლს დაუტოვა 100 ათას დოლარი, მეორე კოლს — 10 ათას დოლარი, მესამე კოლს — ძაძები. მოსილ ოფიციალურ ქვრავს ანეტას ერთი დოლარი.



**მეცნიერების ახალი დარგი**

მეცნიერების ამ ახალ დარგს ეწოდება ფეხბურთოლოგია. იგი ჯერჯერ

გარეკანის პირველ გვერდზე: ექიმი შატლში. ფოტო ბ. და დვადისა. მეოთხე გვერდზე: № 1 ბორჯომის წყლის ჩამომხმელი ქარხნის მეთაურად ალექსი ნოზაძე, ფოტო დ. იაკობაშვილისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.



საქკაპ-ის გამომცემლობა

ტექნიკური რედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბაჩიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-59, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

გადაეცა ახაწყობად 10/1-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/1-72 წ. ქად. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2, პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1, ტირაჟი 51.100. შეკვ. № 64. უკ 01726.


Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14



შირაქის ველზე

ფოტოთ. არჩვადის



ИНДЕКС 76056